მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

ანგარიში

2012

Author: Sophio Verdzeuli, Lawyer, Young Lawyers Association of Georgia (GYLA)

Person responsible: Tamar Chugoshvili, Chairperson, Young Lawyers Association of Georgia (GYLA)

This report is published through support provided by Eurasia Partnership Foundation through the program "Civic Initiative for Independent Judiciary".

This report is made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID), EWMI, and EPF, within the Judicial Independence and Legal Empowerment Project. The contents are the responsibility of The Coalition for Independent and Transparent Judiciary and do not necessarily reflect views of USAID, the United States Government, or EWMI.

მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

ანგარიში

2012

პუბლიკაციაში წარმოდგენილი ავტორისეული შეხედულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის მთავრობის, ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
The Judicial Independence and Legal Empowerment Project (JILEP)
Sida
EURASIA PARTNERSHIP FOUNDATION

კოალიციის წევრი ორგანიზაციები

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო პატიმრებს
საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზღდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
საერთაშორისო სავაჭრო პალატა
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების სააგნეტო
საქართველოს გაეროს ასოციაცია
ევროპისიურისტსტუდენტთაასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქო ინიციატივების და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი

I. შესავალი

საქართველოს სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გარდაქმნების პროცესშია. ინტენსიური რეფორმების ფონზე არაერთი მიმართულება განიცდის ცვლილებას. მართლმსაჯულებაში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების პარალელურად, მნიშვნელოვანია არსებული ვითარების გაანალიზება, რათა განისაზღვროს რეფორმის მასშტაბები და გამოიკვეთოს სამომავლო მიმართულებები.

წარმოდგენილი ანალიზის მიზანია სწორედ იმ მოცემულობის შეფასება, რაც სასამართლო ხელისუფლებაში ბოლო დროს განხორციელებული არსებითი ცვლილებების შემდეგ გამოიკვეთა. ანალიზის მომზადებას წინ უსწრებდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონმდებლობაში, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო სექტორის ხანგრძლივი, ნაყოფიერი კომუნიკაციის შედეგია.[1] ცვლილებები შეეხო არაერთ არსებით საკითხს, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაზრდას, მოსამართლეთა მივლინებას, დისციპლინური სამართალწარმოების განსაჯაროებას და სხვა.

თუმცა, ცვლილებებმა სრულად ვერ მოიცვა სასამართლო სისტემაში არსებული ყველა პრობლემური საკითხი. შესაბამისად, რჩება პრობლემები, რომელთა დროული და სათანადო მოგვარება პირდაპირ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის განმტკიცების პროცესთან.

მათ შორის, პრინციპულად მნიშვნელოვანია მოსამართლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდა სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესში, ინდივიდუალური მოსამართლისა და მოსამართლეთა კონფერენციის გაძლიერება და მათი სათანადო უფლებამოსილებებით უზრუნველყოფა.

ძირეულ პრობლემებს შორის კვლავ რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის სათანადო გარანტიების შექმნა ცალსახად მოითხოვს სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტებისა და მუშაობის არსებული წესის ცვლილებას.

განსაკუთრებით მწვავე საკითხად რჩება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, სასამართლო სხდომების ფოტო, ვიდეო გადაღებისა და აუდიოჩაწერის არსებული წესი, რომელიც გამჭვირვალობის მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

ცხადი რეგულირებისა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას მოითხოვს მოსამართლეთა დანიშვნის, პროფესიულ კარიერასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

ანგარიშში დეტალურადაა განხილული ყველა ის საკითხი, რაც გავლენას ახდენს სასამართლოში მიმდინარე რეფორმაზე, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და გაძლიერების პროცესზე. ასევე მოცემულია სხვადასხვა ხედვა ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. ყოველივემ ხელი უნდა შეუწყოს დასაბუთებული მსჯელობის გაგრძელებას აღნიშნულ თემებთან მიმართებაში.

1 2012 წლის 27 მარტის ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში, „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში.

II. სასამართლო სისტემის მოხილვა:

მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ვითარების შეფასების მიზნით, მისი ხელისუფლების სხვა შტოებთან ურთიერთქმედების გარდა, მნიშვნელოვანია სისტემის შიდა ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა თვითმმართველობის ფუნქციებისა და ცალკეული მოსამართლის როლის გააზრება სისტემის ფუნქციონირების პროცესში. ამასთან, მნიშვნელოვანია, შეფასდეს მოსამართლეთა წარმომადგენლობის ხარისხი ყველა იმ ორგანოში, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაზე და აღჭურვილია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციით. წარმომადგენლობის ხარისხის გათვალისწინებით, ანალიზს მოითხოვს ასევე კონკრეტული უწყებისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და მიღებული გადაწყვეტილებებების შინაარსი.

სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესი კანონმდებლობით განსაზღვრული რამდენიმე ძირითადი ორგანოს მიერ ხორციელდება. სისტემის შიგნით არსებული ვითარების და ძალთა ბალანსის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ყველა იმ ორგანოს დემონსტრირება, რომელიც ჩართულია სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესში.

კანონმდებლობით ადმინისტრირების ფუნქციები შემდეგ ორგანოებზეა განაწილებული:

- მოსამართლეთა კონფერენცია;
- კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- სადისციპლინო კოლეგია;
- სადისციპლინო პალატა;
- უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

წარმოდგენილი სტრუქტურებიდან ოთხს თანამდებობრივად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.[2] რაც შეეხება ხსენებული უწყებების კომპეტენციებს, კანონმდებლობით მათ ადმინისტრირების სხვადასხვა სფერო აქვთ გადაცემული. თუმცა, ზოგადი შეფასების სახით უნდა ითქვას, რომ სისტემის შიგნით ძალაუფლების ძირითადი ნაწილი ერთი კონკრეტული ორგანოს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელშია კონცენტრირებული. იმის გათვალისწინებით კი, რომ ინდივიდუალური მოსამართლეების მონაწილეობა პროცესში სათანადო დოზით არ არის გამოხატული, ადმინისტრირების პროცესი ვერტიკალურ სახეს იძენს, სადაც სისტემის მართვა ზემოდან მხოლოდ მმართველი სტრუქტურების მიერ ხორციელდება. ქვემოთ წარმოდგენილია მიმოხილვა, რომელიც წარმოაჩენს ხსენებული უწყებების უფლებამოსილებებს, დაკომპლექტების წესს, წარმომადგენლობის ხარისხსა და ადგილს სასამართლო სისტემაში. ამგვარი მიმოხილვა საშუალებას იძლევა, შეფასდეს ინსტიტუციების ერთმანეთზე დამოკიდებულების, კომპეტენციების გამიჯვნისა და ძალთა ბალანსის ხარისხი.

<u>მოსამართლეთა კონფერენცია</u> წარმოადგენს სასამართლო სისტემის ყველაზე მასშტაბურ ფორუმს, რომელიც საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლეს აერთიანებს და რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. შესაბამისად, მას მოსამართლეთა თვითმმართველობის სტატუსი აქვს მინიჭებული.[3] კონფერენციის მასშტაბებიდან და წარმომადგენლობის ხარისხიდან გამომდინარე, მისი როლი სასამართლო სისტემის შიგნით განსაკუთრებულია. კონფერენციის სტატუსი განაპირობებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის ხარისხსა და გავლენას მართლმსაჯულების სისტემის ადმინ-

2 მოსამართლეთა კონფერენცია, კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, უზენაესი სასამართლოს პლენუმი

3 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 63–ე მუხლის პირველი პუნქტი.

ისტრირებაზე. ამის გათვალისწინებით, ნიშანდობლივია მოსამართლეთა კონფერენციის როლი, გავლენა და ექსკლუზიური კომპეტენციები სისტემის მართვის პროცესში, რაზეც ანგარიშის სხვა ნაწილშია საუბარი. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა კონფერენცია კანონის თანახმად, მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. თუმცა, შესაძლებელია რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა.[4]

<u>კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი</u> წარმოადგენს კონფერენციის ერთგვარ სტრუქ-ტურულ ერთეულს, რომელიც კონფერენციის ფუნქციების შესრულების ხელშეწყობის მიზ-ნით იქმნება.[5] ადმინისტრაციული კომიტეტი საერთო სასამართლოების 9 მოსამართლეს აერთიანებს.უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანანმდებობრივად ამ ერთეულის წევრი და ხელმძღვანელია.. ადმინისტრაციული კომიტეტის დანარჩენ 8 წევრს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე, მოსამართლეთა კონფერენცია[6] 3 წლის ვადით ირჩევს. მოსამართლეთა კონფერენციის მასშტაბის გათვალისწინებით, ლოგიკურია არსებობდეს ცალკე ორგანო, რომელიც ყოველდღიური ან ინტენსიური მუშაობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო მოქნილი იქნება. ადმინისტრაციული კომიტეტის შექმნის მიზანს სწორედ კონფერენციის ფუნქციონირების ხელშეწყობა წარმოადგენს. თუმცა, როგორც ადმინისტრაციული კომიტეტის უფლებამოსილებების ანალიზი ცხადყოფს, მისი კომპეტენციები კონფერენციის მხოლოდ ტექნიკური და ორგანიზაციული დახმარებით არ შემოიფარგლება და მნიშვნელოვნად ფარავს იმ უფლებამოსილებებს, რაც მოსამართლეთა კონფერენციას ექსკლუზიურად აქვს მინიჭენული.[7]

<u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</u> სასამართლოს სისტემის შიგნით არსებული კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც შექმნილია როგორც სისტემის ადმინისტრირების უმთავრესი რგოლი. საბჭოს კომპეტენციებია: მოსამართლეთა დანიშვნა, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.[8] საბჭოს დაკომპლექტება ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობით ხდება. საბჭოს 15 წევრიდან უმრავლესობას – 9 წევრის შემადგენლობით – მოსამართლეები წარმოადგენენ. საბჭოში თანამდებობრივად შედის და საბჭოს ხელმძღვანელობს – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. დანარჩენი 8 წევრის კანდიდატურის მოსამართლეთა კონფერენციისთვის წარდგენის უფლებამოსილებაც ერთპიროვნულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს მინიჭებული. პარლამენტს საბჭოში პარლამენტის 4 წევრი წარმოადგენს. საბჭოს 2 წევრი კი პრეზიდენტის მიერაა დანიშნული. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც მართლმსაჯულებ-ის ადმინისტრირების უმთავრესი ორგანოს, დაკომპლექტების წესი განსაკუთრებულ ყუ-რადღებას იმსახურებს. მისი ფორმირება მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის შიგნით ჯანსაღი პროცესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საბჭოს დაკომპლექტების არსებულ წესთან დაკავშირებული მოსაზრებები ანგარიშის სხვა ნაწილშია მიმოხილული. აქ საჭიროა აღ-ინიშნოს საბჭოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც საბჭოს ხელში კომპეტენციების თავმოყრას უკავშირდება. საბჭოს უფლებამოსილებებისა და სხვა ორგანოებზე მისი გავლენის ანალიზი, რაზეც ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი, კომპეტენციების განაწილებისა და საბჭოდან გარკვეული ფუნქციების გამოყოფის საჭიროებაზე მიუთითებს.

მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქციებით მონაწილეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული ორი ორგანო: იუსტიციის უმაღლესი სკოლა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

4 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66–ე მუხლი
5 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64–ე მუხლის პირველი პუნქტი.
6 საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტი.
7 ადმინისტრაციული კომიტეტის კომპეტენციებზე მსჯელობა ვრცლად ანგარიშის სხვა ნაწილშია მოცემული
8 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47–ე მუხლის პირველი პუნქტი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ–ერთი მთავარი რგოლია. სკოლა იქმნება ერთი მხრივ, სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა კორპუსის განახლების პროცესისთვის კვალიფიციური კადრების, იუსტიციის მსმენელების მომზადების მიზნით, მეორე მხრივ კი, მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს სისტემაში მომუშავე პირების პროფესიული დაოსტატების მიზნით.

სკოლის მართვის ორგანოებს დამოუკიდებელი საბჭო და დირექცია წარმოადგენს. სკოლაში მიმდინარე სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამები დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მტკიცდება. ის ასევე მონაწილეობს მსმენელის შეფასების პროცესში. შესაბამისად, დამოუკიდებელი საბჭოს შექმნისა და მუშაობის წესი მეტად მნიშვნელოვანია. სკოლის დამოუკიდებელი საბჭო იქმნება 6 წევრის შემადგენლობით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის და თავმჯდომარეობს დამოუკიდებელ საბჭოს. რაც შეეხება დანარჩენ 5 წევრს, მათ ასევე ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით. კანონი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ ადგენს დამოუკიდებელი საბჭოს წევრის ზოგად კრიტერიუმებს, თუმცა არ მიუთითებს, რომელი ორგანოს, პროფესიული გაერთიანების, თუ სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს საბჭოს წევრი. კანონის თანახმად, დამოუკიდებელი საბჭოს 5 წევრიდან 1 აუცილებლად უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი. დანარჩენი წევრების შერჩევის საკითხი მხოლოდ ზოგადი კრიტერიუმებით არის განსაზღვრული. რაც შეეხება სკოლის დირექციას, ის სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და სტაჟირების ხელმძღვანელისგან შედგება. სკოლის დირექციის ფუნქციები მეტწილად დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ მხარესთან. თუმცა სკოლის დირექტორის უფლებამოსილებაში შედის დამოუკიდებელი საბჭოსთვის სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამების წარდგენა დასამტკიცებლად. პროგრამების შემუშავების პროცესში მონაწილეობს სკოლის მასწავლებელთა საბჭო, რომელიც სკოლის მასწავლებლებისგან კომპლექტდება. სკოლის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი შექმნილია საერთო სასამართლოების (გარდა უზენაესი სასამართლოსი) მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით. დეპარტამენტის ფუნქციებში შედის სასამართლოების უზრუნველყოფა საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზით, ასევე სასამართლოების ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვის კონტროლი. სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და დეპარტამენტის დაფინანსების პროექტის წარგდენა სწორედ დეპარტამენტის მიერ მომზადებული წინადადების საფუძველზე ხდება. დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, საბჭოს თანხმობით.[9]

დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისთვის სასამართლო სისტემაში შექმნილია ორი რგოლი: სადისციპლინო კოლეგია და სადისციპლინო პალატა, რომელიც სააპელაციო ორგანოა. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის და მისი განმახორციელებელი ორგანოების სათანადო საკანონმდებლო რეგულირება. საყურადღებოა ასევე ამ ორგანოების დაკომპლექტების წესი.

სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით.[10]ამათგან, 3 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრია, 2 კი – არამოსამართლე წევრი.მართალია, სადისციპლინო კოლეგიაში 3 მოსამართლე წევრის დანიშვნის გადაწყვეტილებას, იღებს მოსამართლეთა კონფერენცია (სხდომებს შორის პერიოდში ადმინისტრაციული კომიტეტი), მაგრამ კანდიდატურების წარდგენის უფლებამოსილება ერთპიროვნულად უზენაესი სასამართლოს

9 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის მე–2 პუნქტი.

10 2012 წლის 27 მარტის ცვლილებებით, სადისციპლინო კოლეგიის წევრთა რაოდენობა 6–დან5–მდე შემცირდა.

თავმჯდომარეს ეკუთვნის. რაც შეეხება სადისციპილნო კოლეგიის 2 არამოსამართლე წევრს, მათ საკუთარი შემადგენლობიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭო ირჩევს. მოსამართლეთა კონფერენციის შესუსტებული უფლებამოსილების გარდა (კონფერენციის წევრებს არ აქვთ კანდიდატურების დასახელების უფლება), სადისციპლინო კოლეგიასთან მიმართებაში საყურადღებოა წევრების ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

<u>სადისციპლინო პალატა</u> წარმოადგენს სააპელაციო ორგანოს, რომელიც განიხილავს საჩივრებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. პალატის შემადგენლობა განსაზღვრულია უზენაესი სასამართლოს 3 წევრით. სადისციპლინო კოლეგიის მსგავსადაც, პალატის წევრების კანდიდატურების დასახელების უფლება ერთპიროვნულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს. კანდიდატურებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარუდგენს უზენაესი სასამართლოს პლენუმს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მათი დამ-ტკიცების თაობაზე. რაც შეეხება თავად უზენაესი სასამართლოს პლენუმს, მას დიდი უფლე-ბები აქვს მინიჭებული, რომელთაგან ნაწილი არის ტექნიკური, დანარჩენი კი, კონსტიტუციურ სამართლებრივი და პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოს დამოუკიდებლობასა და კომპეტენციის ჯეროვან განხორციელებასთან.“[11] ამის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს პლენუმის შემადგენლობიდან იუსტიციის მინისტრის გამორიცხვა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ბოლოს განხორციელებული ცვლილებებით. რაც შეეხება პლენუმის დანარჩენ წევრებს, კანონის მიხედვით, პლენუმის შემადგენლობაში შედიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, უზენაესი სასამართლოს წევრები და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები.

პირველი სქემა წარმოადგენს ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე უწყებებს სასამართლო სისტემის შიგნით. მეორე სქემა წარმოადგენს პერსონებს, მათი პოზიციების გათვალისწინებით, რომლებიც ჩართულნი არიან სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესში.



11 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული ანგარიში, მართლმსაჯულება საქართველოში, 2010 წელი, გვ.14.

	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სასამართლოს/კოლეგიის / პალატის თავმჯდომარე	ადმინისტრაციული კომიტეტი	სადისციპლინო კოლეგია	სადისციპლინო პალატა	სკოლის დამოუკიდებელი საბჭო [12]	უზენაესი სასამართლოს პლენუმი	საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობა [13]
კონსტანტინე კუბლაშვილი	√	√	√			√	√	
ზაზა მეიშვილი [14]		√			√	√	√	√
ვალერი ცერცვაძე	√	√					√	
მალხაზ გურული	√	√					√	
ლაშა კალანდაძე	√	√		√				
მამია ფხაკაძე	√	√		√				
გიორგი შავლიაშვილი	√			√			√	
მიხეილ ჩინჩალაძე	√	√					√	
ვასილ როინიშვილი		√			√		√	
პაატა სილაგაძე [15]			√				√	√
მაია სულხანიშვილი						√	√	
შოთა გეწაძე	√	√						
ბესარიონ ალავიძე						√	√	
ირაკლი შენგელია		√				√		
კახა კობერიძე	√					√		
ლევან მურუსიძე					√			
ლეილა მამულაშვილი			√					
თამარ ზამბახიძე			√					
ვაჟა ფუხაშვილი			√					

12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის წერილი, 15.07.2011

13 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მასშტაბურ პროფესიულ გაერთიანებას სისტემის შიგნითhttps://enreg.reestri.gov.ge/main.php?state=search_by_name&value=%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90

14 იმავდროულად წარმოადგენს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს

15 საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

ბესიკ ბუგიანიშვილი			√					
ილონა თოდუა			√					
მარინა ხოლოაშვილი			√					
ნანა დარასელია			√					
მაია ვაჩაძე							√	
ნათია წკეპლაძე							√	
მაია ოშხარელი							√	
თეიმურაზ თოდრია							√	
ნუნუ კვანტალიანი							√	
დავით სულაქველიძე							√	
ნუგზარ სხირტლაძე							√	
ნინო ქადაგიძე							√	
ლევან მურუსიძე							√	
პაატა ქათამაძე							√	√

III. მოსამართლეთა თვითმმართველობა:

მოსამართლეთა კონფერენცია, როგორც საერთო სასამართლოების თვითმმართველობის ორგანო, სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესში რეალური მონაწილეობის მიზნით, სათანადო უფლებამოსილებებით უნდა იყოს აღჭურვილი. გამომდინარე იქიდან, რომ კონფერენცია აერთიანებს საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლეს, ბუნებრივია, მისი მუშაობის ეფექტიანობა შეზღუდულია ამ ფაქტორით, რაც თავის მხრივ, აუცილებელს ხდის ფუნქციების გადანაწილებას სხვადასხვა წარმომადგენლობითი ორგანოსთვის.

მოსამართლეთა კონფერენციის უმთავრესი უფლებამოსილება სწორედ წარმომადგენლობითი ორგანოების დაკომპლექტებაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა კონფერენციას აქვს სხვა ტიპის უფლებამოსილებებიც, მათ შორის მოსამართლეთა ეთიკის წესების მიღება (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით), კონფერენციის ქარტიისა და რეგლამენტის მიღება (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით), კონფერენციის ხელმძღვანელისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეებისგან ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა, სისტემის ფუნქციონირებაში მისი მონაწილეობა უმეტესად სწორედ წარმომადგენლების მეშვეობით ხორციელდება. ამ ნაწილში, კანონმდებლობით კონფერენციას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება:

- აირჩიოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და საბჭოს სხვა წევრები;
- აირჩიოს სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები;

იუსტიციის საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომლექტების წესისა და ფუნქციების გადანაწილებაზე დოკუმენტის მეორე ნაწილში იქნება საუბარი. ამ ნაწილში აქცენტი კეთდება

სასამართლო სისტემის კიდევ ერთ რგოლზე – მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტზე, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს.

კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ადმინისტრაციული კომიტეტი წარმოადგენს ერთგვარ შუალედურ რგოლს მოსამართლეთა კონფერენციასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის. ადმინისტრაციული კომიტეტი აღჭურვილია მოსამართლეთა კონფერენციისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების უფლებით. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული კომიტეტის წარმომადგენლობის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსამართლეთა კონფერენციისგან, ამასთან, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ კონფერენციისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების დელეგირება, ცალკეულ შემთხვევებში, სწორედ ადმინისტრაციულ კომიტეტზე ხდება, მნიშვნელოვანია როგორც კომიტეტის დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესების, ისე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსის ანალიზი.

ადმინისტრაციული კომიტეტი კომპლექტდება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, მისი შემადგნელობიდან არჩეული 9 პირის მონაწილეობით. ამათგან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობრივად კომიტეტის შემადგენლობაში შედის. დანარჩენი 8 წევრი, კონფერენციის რეგლამენტის მიხედვით, არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

მსგავსი ჩანაწერი, თავისთავად, პოზიტიურია, სასამართლოს სისტემის შიგნით ჯანსაღი პროცესების წარმოებისა და ყველა დონის სასამართლო წარმომადგენლისთვის სისტემის ადმინისტრირების პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, თუმცა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, მსგავსი დათქმა მოცემული ყოფილიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების ნაწილთან მიმართებაში.

ადმინისტრაციული კომიტეტის დაკომპლექტების წესის კიდევ ერთ დადებით მხარეს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ადმინისტრაციულ კომიტეტში წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება მინიჭებული აქვს მოსამართლეთა კონფერენციის თითოეულ წევრს, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ არის.

ადმინისტრაციული კომიტეტის ფუნქციები:

მნიშვენლოვანია იმ უფლებამოსილებების შეფასება, რაც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციულ კომიტეტს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ადმინისტრაციულ კომიტეტს გადაცემული აქვს მოსამართლეთა კონფერენციის უმთავრესი ფუნქცია, რაც წარმომადგენლობითი ორგანოების დაკომპლექტებაში გამოიხატება. კერძოდ, ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია:

- მოსამართლეთა *კონფერენციის სხდომებს შორის პერიოდში*, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, აირჩიოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და საბჭოს სხვა წევრები;
- მოსამართლეთა *კონფერენციის სხდომებს შორის პერიოდში*, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობაში აირჩიოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები;

აღნიშნული უფლებამოსილებების ადმინისტრაციული კომიტეტისთვის გადაცემა მიუთითებს, რომ მოსამართლეთა კონფერენცია, როგორც მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, არ სარგებლობს ექსკლუზიური კომპეტენციებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან

დაკავშირებითაც კი, როგორიცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპელექტება. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ კომიტეტს თავისთავად გააჩნია წარმომადგენლობის ხარისხი და ლეგიტიმაცია მოსამართლეთა კონფერენციის მხრიდან, გაუგებარია, რატომ ხდება ამდენად მნიშვნელოვანი ფუნქციების გაყოფა მოსამართლეთა კონფერენციასა და ადმინისტრაციულ კომიტეტს შორის.

აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა წარმოადგენს უმთავრეს ფორმას, რაშიც გამოიხატება მოსამართლეთა კორპუსის მონაწილეობა სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესში. ამ უფლებამოსილების გადაცემა ადმინისტრაციული კომიტეტისთვის, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება მოსამართლეთა კონფერენციის ანალოგად, კონფერენციას მონაწილეობის უმთავრესი ბერკეტების გარეშე ტოვებს.

გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ:

აღსანიშნავია, რომ თავად მოსამართლეთა კონფერენციაზე გადაწყვეტილების მიღების არსებული წესი, რაც უკავშირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ან სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესს, მოსამართლეთა მაქსიმალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე არ არის მომართული. მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მიხედვით, კონფერენციის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. კონფერენცია, თავის მხრივ, უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. კონფერენციის რეგლამენტი არანაირ სპეციალურ ჩანაწერს არ შეიცავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხები, სხვა გადაწყვეტილებების მსგავსად, ხმათა უბრალო უმრავლესობით წყდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება კონფერენციის რეგლამენტით დადგენილ იქნას განსხვავებული ქვორუმი სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილების მისაღებად, მაგალითად, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დასაკომპლექტებლად. მოსამართლეთა თვითმმართველობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მეტი გარანტიების არსებობის პირობებში, კიდევ უფრო, მიუღებელია საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება ადმინისტრაციული კომიტეტისთვის, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრაველოსობით, რაც თეორიულად შესაძლებელია 3 პირს ნიშნავდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობა ადმინისტრაციული კომიტეტის ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ უკავშირებს იმ გარემოებებს, როცა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება, მაგალითად, კონფერენციის მოწვევა შეუძლებელია ან, როცა ქვორუმი რამდენჯერმე არ შეიკრიბება და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს კონფერენციის მოწვევის სავალდებულოობას წელიწადში ერთხელ მაინც. ამასთან, კანონის თანახმად, შესაძლებელია რიგგარეშე კონფერენციის მოწვევაც. შესაბამისად, გაუგებარია, თუკი მოსამართლეთა კონფერენციას აქვს შესაძლებლობა შეიკრიბოს და მიიღოს გადაწყვეტილება, აღნიშნული ფუნქცია რატომ უნდა გადაეცეს ადმინისტრაციულ კომიტეტს.

მოსამართლეთა წარმომადგენლობის ხარისხისა და მიღებული გადაწყვეტილებების მეტი ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა კონფერენციას გააჩნდეს ექსკლუზიური უფლებამოსილებები, რომელთა გადაცემა დაუშვებელი იქნება სხვა რომელიმე ორგანოსთვის, თუნდაც მოსამართლეთა კონფერენციის მიერვე დაკომპლექტებული ორგანოსთვის. ასეთი უფლებამოსილება კი, პირველ რიგში, სწორედ წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებაში გამოიხატება.

ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ ბოლო წლებში მიღებული დადგენილებების ანალიზი ცხადყოფს, რამდენად პრინციპული საკითხებია გადაწყვეტილი მოსამართლეთა კონფერენციის მონაწილეობის გარეშე, მაგალითად:

- ადმინისტრაციული კომიტეტის 2011 წლის 6 ოქტომბრის #2 დადგენილებით არჩეულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი[16];
- ადმინისტრაციული კომიტეტის 2010 წლის 5 თებერვლისა და 1 ნოემბრის დადგენილებებით სადისციპლინო კოლეგიაში არჩეულია 2 წევრი;
- ადმინისტრაციული კომიტეტის 2008 წლის დადგენილებებით, არჩეულია როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის წევრები, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

ამრიგად, ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილებების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 2011 წლის მოსამართლეთა კონფერენციის ჩატარებამდე, 2007 წლიდან საბჭოში სასამართლო ხელისუფლების 8 წარმომადგენლიდან, 5 სწორედ ადინისტრაციული კომიტეტის მიერ იყო არჩეული. რაც შეეხება სადისციპლინო კოლეგიას, 2009–2010 წლებში სადისციპლინო კოლეგიის 3 წევრი სწორედ ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ იყო არჩეული. 2011 წლის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, 2 მათგანი ხელახლა დაინიშნა სადისციპლინო კოლეგიის წევრად. ამჟამად, საბჭოს მოქმედი მდივანი და 1 წევრი არჩეულია ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ.[17]

IV. წარმომადგენლობითი ორგანოები სასამართლო სისტემაში:

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლეთა კორპუსის მონაწილეობა სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნით გამოიხატება. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მოსამართლეთა თვითმმართველობის მიერ იქ-მნება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოა, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოს წარმოადგენს და რომელიც სასამართლო ხელისუფლების მენეჯმენტის მთავარი რგოლია. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მინიჭებული აქვს მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმის კოორდინირების ფუნქცია. ადმინისტრირების კიდევ ერთი ფუნქცია, რაც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას უკავშირდება, გადაცემული აქვს სადისციპლინო კოლეგიას.

მოცემული კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა, მოსამართლეთა კორპუსის მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა სასამართლო სისტემის ადმინისტრირების ორი მთავარი რგოლის და-კომპლექტების პროცესში. თუმცა, დაკომპლექტების წესის გარდა, ყურადღება გამახვილე-ბულია სხვა ისეთ ასპექტებზე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ მუშაობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

2012 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულმა ცვლილებებმა დადებითად შეცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებისა და მუშაობის წესი რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, გაიზარდა საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, დაწესდა მოთხოვნები საბჭოს წევრთა კომპეტენციებთან მიმართებაში, გაუმჯობესდა საბჭოს მიერ პირის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

თუმცა, საბჭოს წარმომადგენლობითობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზ-

16 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/dadgenileba2011.pdf
17 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66–ე მუხლის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევა უნდა მომხდარიყო წელიწადში ერთხელ მაინც.

რისით, კვლავ რჩება პრობლემური საკითხები, რაც კანონმდებლობაში დამატებით ცვლილებებს მოითხოვს. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამ საკითხების მიმოხილვა, კანონმდებლობაში უკვე შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

– *სასამართლო ხელისუფლების კვოტით პირთა დანიშვნის პროცედურა:*

სამწუხაროდ, ცვლილებები არ შეეხო საბჭოში სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლობის საკითხს. შესაბამისად, ისევ პრობლემურია საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის პროცედურა.

სასამართლო ხელისუფლება საბჭოში წარმოდგენილია 9 წევრით. აქედან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საბჭოს *ex officio* წევრია. რაც შეეხება დანარჩენ წევრებს, ისინი აირჩევიან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საბჭოს მოსამართლე წევრების (მათ შორის საბჭოს მდივნის) კანდიდატურების დასახელების უფლებამოსილება ექსკლუზიურად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს.[18]

მოსამართლე წევრების არჩევა, მართალია, ხდება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, თუმცა კონფერენციის უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ წარდგენილი კანდიდატურების მხარდაჭერით, ან მხარდაჭერაზე უარის თქმით. კონფერენციის მონაწილე მოსამართლეებს უფლება არ აქვთ კენჭისყრაზე დააყენონ მათთვის სასურველი კანდიდატურა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსამართლეთა კონფერენციის ეფექტურ მონაწილეობაზე წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტების პროცესში.

ადმინისტრაციულ კომიტეტთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერი, რომელიც უფლებას აძლევს საერთო სასამართლოების ნებისმიერ მოსამართლეს დაასახელოს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის კანდიდატურა, მიმართულია სწორედ მოსამართლეთა წარმომადგენლობის ხარისხის გაზრდისკენ. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მიმართებით, რომლის მიერ სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებებიც განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ლეგიტიმაციის კიდევ უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვს.

საბჭოს წევრთა კანდიდატურების დასახელების უფლების მხოლოდ ერთი პირისთვის მინიჭება გავლენას ახდენს სასამართლო კორპუსის სათანადო და სრულყოფილ წარმომადგენლობაზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ამასთან, მსგავსი რეგულირება საფუძველს უქმნის სასამართლო ხელისუფლების შიგნითვე არაჯანსაღი პროცესების განვითარებას. **სასამართლო ხელისუფლების კვოტით პირთა დანიშვნის არსებული პროცედურა არ ქმნის საბჭოს დაკომპლექტების საუკეთესო შესაძლებლობას. იმისათვის, რომ საბჭო სარგებლობდეს მოსამართლეთა თვითმმართველობის რეალური წარმომადგენლობის უფლებამოსილებით, საჭიროა, კონფერენციის მონაწილე თითოეულ მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა, დააყენოს საბჭოს წევრობის მისთვის სასურველი კანდიდატურა.**

ამას გარდა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მოსამართლეთა კონფერენციაზე კენჭისყრის განსხვავებული რეჟიმი. კერძოდ, ხმის მიცემა უნდა ხდებოდეს ფარულად. ამასთან, კანონმდებლობით შესაძლოა, დადგენილ იქნას საბჭოს წევრის არჩევისთვის ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა, რათა საბჭოს წევრთა მიმართ არსებობდეს მეტი კონსენსუსი საერთო სასამართლოების მოსამართლეების მხრიდან.

18 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

– *საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი:*

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით გაიზარდა საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა დაწესდა საბჭოში პრეზიდენტის კვოტით დანიშნული ორი პირის მიმართ. ასევე დადგინდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი უნდა წარმოადგენდეს საერთო სასამართლოების მოსამართლეს, რაც თავისთავად საბჭოს მდივანზე პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის გავრცელებას გულისხმობს. ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოს საქმიანობის პოლიტიკური გავლენებისგან დაცვის მიმართულებით.

თუმცა იმისთვის, რომ საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი სრულად იქნას განმტკიცებული, საჭიროა, ანალოგიური შეზღუდვა გავრცელდეს საქართველოს პარლამენტის კვოტით დანიშნულ პირებზეც.

საკანონმდებლო ხელისუფლებას საბჭოში წარმოადგენენ პარლამენტის წევრები, კერძოდ, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც *ex officio* წევრი და ასევე პარლამენტის წევრთა სიიდან არჩეული 3 პირი, რომელთაგან 1 მაინც არ უნდა იყოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი. ამგვარი რეგულირება უშვებს სასამართლო ხელისუფლების მმართველობის რგოლში ისეთი პირების საქმიანობას, რომლებსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზნები, პოზიციები და პასუხისმგებლობები გააჩნიათ. იმისთვის, რომ კანონმდებლობამ განამტკიცოს საბჭოს სრული პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი, საჭიროა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა გავრცელდეს საბჭოს ყველა წევრზე, მათ შორის პარლამენტის კვოტით დანიშნულ პირებთან მიმართებაში.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრების მიხედვით *„თუკი რომელიმე სახელმწიფოში {საბჭოს} არამოსამართლე წევრებს პარლამენტი ირჩევსისინი არ უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები. ასევე უნდა აირჩეოდნენ კვალიფიციური უმრავლესობით, რაც საჭიროებს ოპოზიციის მნიშვნელოვან მხარდაჭერას.“*[19]

იმისთვის, რომ საბჭოს საქმიანობა თავისუფალი იყოს მისი წევრების პოლიტიკური ინტერესებისა და გავლენებისგან, საჭიროა, კანონმდებლობამ განსაზღვროს საბჭოში პარლამენტის კვოტით პირთა არჩევის განსხვავებული პროცედურა. ახალმა რეგულირებამ უნდა გაითვალისწინოს პარლამენტის მიერ წარმომადგენლების თავისი შემადგენლობის გარედან, პოლიტიკურად ნეიტრალური პირებისგან, არჩევის ვალდებულება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ის მინიმალური კრიტერიუმები, რასაც აღნიშნული პირები უნდა აკმაყოფილებდნენ. მათ შორის, სათანადო და გონივრული მოთხოვნები პროფესიასთან, კომპეტენციასა და პიროვნულ თვისებებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პრეზიდენტის კვოტით დანიშნულ პირებს, უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებებით განისაზღვრა როგორც მათი პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის პრინციპი, ისე კრიტერიუმები. თუმცა კანონმდებლობით ჯერ გათვალისწინებული არ არის პრეზიდენტის მიერ საბჭოში დანიშნული ორი წევრის ვადაზე ადრე გამოწვევის უფლების შეზღუდვა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს პრეზიდენტის მიერ საბჭოში დანიშნული წევრების დამოუკიდებლობის ხარისხზე.

დისციპლინური სამართალწარმოება:

2012 წელს კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების რეგულირების თვალსაზრისით. ცვლილებების უმეტესობა მიმართული იყო დისციპლინური სამართალწარმოების სრული კონფიდენციალურო-

19 CCJE Opinion #10, para.32,https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=CCJE(2007)OP10&Language=lanEnglish&Ver=original&Site=COE&BackColorInternet=FEF2E0&BackColorIntranet=FEF2E0&BackColorLogged=c3c3c3

ბიდან მისი ნაწილობრივ გასაჯაროებისკენ. ცვლილებები ასევე შეეხო დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლებს. რეკომენდაციების გათვალისწინებით, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლებიდან ამოღებულ იქნა „მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა“ და „შრომის შინაგანაწესის დარღვევა“, რაც დადებითი ცვლილებაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით. კანონმდებლობით ცვლილება განიცადა სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესმა. თუმცა, ამ ცვლილებამ ვერ აღმოფხვრა მთავარი პრობლემა, რაც სადისციპლინო კოლეგიის წევრების ინტერესთა კონფლიქტში მდგომარეობს.

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილია ის საკითხები, რაც დამატებით რეაგირებას მოითხოვს.

– *სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტება:*

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიასთან დაკავშირებით განხილვას საჭიროებს როგორც ზოგადად სადისციპლინო კოლეგიის ადგილი სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, ისე მოსამართლეთა კონფერენციის როლი მისი დაკომპლექტების პროცესში.

ცვლილებების შემდეგ სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობა განსაზღვრულია 5 წევრით, რომელთაგან 3 არის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობიდან არჩეული მოსამართლე, 2 კი – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, თავისი შემადგენლობიდან არჩეული არამოსამართლე წევრი. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემ ორგანოს, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.[20] ცხადია, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი ორგანოს წევრების მიერ დისციპლინური საქმის განხილვა ვერ პასუხობს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნას. სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი კი ვერ უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დისციპლინური სამართალწარმოების საქმეების მიუკერძოებელი განხილვა და გადაწყვეტა, აუცილებელია, სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტება მთლიანად გამოეყოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და ამ მიზნით, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ შეიმნას საბჭოსგან დამოუკიდებელი ორგანო, რომლის წევრებიც იმავდროულად არ იქნებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები.

თუმცა ინტერესთა კონფლიქტის გარდა არსებობს სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევის პროცედურული პრობლემაც. სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრების არჩევა ხდება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, კანდიდატურების დასახელების ერთპიროვნული უფლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს. კონფერენცია მხოლოდ აღნიშნული კანდიდატურების მხარდაჭერით ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უფლებით სარგებლობს. კონფერენციის წევრებს არ აქვთ ალტერნატიული კანდიდატურების დასახელების უფლება, რაც, რა თქმა უნდა, ზღუდავს კონფერენციის უმთავრეს უფლებამოსილებას, არსებითი გავლენა იქონიოს წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების პროცესზე.

20 „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

სადისციპლინო კოლეგია ერთ–ერთია იმ ძირითად ორგანოთაგან რომელთა შორისაც გადანაწილებულია სასამართლო სისტემის ადმინისტრირების მთავარი ფუნქციები. ამასთან, მისი საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ არსებობს მოსამართლეთა თვითმმართველობის ჩართულობის მაღალი ხარისხის საჭიროება.

აღნიშნული ვითარება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსგავსად მოითხოვს, შეიცვალოს სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტებისა და ხმის მიცემის პროცესის რეგულირება, იმგვარად, რომ გაიზარდოს მოსამართლეთა კონფერენციის როლი კოლეგიის ფორმირების პროცესში. ამისათვის საჭიროა, საერთო სასამართლოების თითოეულ მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა, დაასახელოს სადისციპლინო კოლეგიის წევრის კანდიდატურა. ამასთან, ამ შემთხვევაშიც უმჯობესია, უზრუნველყოფილ იქნას ხმის მიცემის ფარულობა და ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის პირობა.

– *მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება*

„საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისხმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისფულება, როგორც დისციპლინური სახდელის სახე, მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენისთვის:

- კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება;
- შეუთავსებელი საქმიანობა;
- მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება;
- მოვალეობების შეუსრულებელობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში აღნიშნა: *„მოსამართლის მანდატის ნაადრევი შეწყვეტა გამოყენებული უნდა იქნას როგორც უკიდურესი საშუალება გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, მოსამართლის მსჯავრდების შემთხვევაში, მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ან მოსამართლის მიერ თავისი უფლებამოსილებების ხანგრძლივი შეუსრულებლობის შემთხვევაში.“*[21]

კანონის თანახმად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია მხედველობაში იღებს <u>დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს, რაოდენობას, აგრეთვე წარსულში ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს.</u> ამასთან, *„თუ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის დაკისრებული სახდელი გაქარწყლებული არ არის, როგორც წესი, მოსამართლეს ეკისრება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელი.“*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, 2010 წელს სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული 5 საქმიდან (4 მოსამართლის მიმართ) მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებულების სანქცია გამოყენებულ იქნა 1 მოსამართლის მიმართ. 2011 წელს, სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული 25 საქმიდან - ასევე 1 შემთხვევაში.[22]

21 ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნა, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონზე, პარაგრაფი #25

22 იხ. http://www.hcoj.gov.ge/?l=2&i=113

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების და უფლებამოსილების შეწყვეტის რამდენიმე საფუძველს, მათ შორის, ცალ-ცალკე საფუძვლებად მოიხსენიებს: „დისციპლინური გადაცდომის ჩადენას“ და „მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებას ან შეუთავსებელ საქმიანობას.“ ამასთან, აღსანიშნავია, რომ *„მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა“* წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს. აღნიშნულ საფუძვლზე შესაძლებელია მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება და მის მიმართ „მკაცრი საყვედურის“ ან „მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების“ გამოყენება სანქციის სახით.[23] ამასთან, ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გარეშე. დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საფუძველზე მოსამართლის გათავისუფლებისთვის კი საჭიროა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება, რაც თავის თავში მოიაზრებს კანონით გაწერილ დისციპლინური საქმის განხილვის პროცედურას. ამ დროს გათვალისწინებულია როგორც პასუხისგებაში მიმცემი პირისა და მოსამართლის თანასწორუფლებიანობა, ასევე პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის სხვა პროცესუალური გარანტიები, მათ შორის: *საკუთარი პოზიციის, შუამდგომლობებისა და მტკიცებულებების წარდგენის, დამატებითი დოკუმენტების, პირების წარდგენის, შესაბამისი სასამართლო საქმის გამოთხოვის შესაძლებლობა, ასევე უფლება ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით და ერთჯერადად გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.* **აღნიშნული გარანტიები მოსამართლეს წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუკი მისი საქმე განიხილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. შესაბამისად, მოსამართლე ვერ სარგებლობს ამგვარი დაცვით, როდესაც მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიღებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.**

პროცესუალური თუ უფლებრივი თვალსაზრისით არსებული ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, არც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და არც „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი არ მიუთითებს რა განსხვავებაა *„მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებას ან შეუთავსებელ საქმიანობასა“* და *„მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობას“* შორის. არსებული პრაქტიკა კი მიუთითებს, რომ აღნიშნული საფუძვლით პირის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვა და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება ხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, დისციპლინური სამართალწარმოებისთვის მიმართვის გარეშე.[24] საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში „მ. მწარიაშვილის საერთო სასამართლოების მოსამართლის რეზერვიდან ამორიცხვისა და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“, საფუძვლად სწორედ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობაა მითითებული. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე მსჯელობა გამართული არ ყოფილა სადისციპლინო კოლეგიის ფარგლებში. არსებული პრეცედენტიც მიუთითებს, რომ გაუგებარია

23 „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 54[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

24 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/250

რა შემთხვევაში ითვლება შეუთავსებელი საქმიანობა დისციპლინურ გადაცდომად და შესაბამისად საჭიროებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას და რა შემთხვევაშია შესაძლებელი ამავე საფუძვლით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გარეშე.

უმჯობესი იქნება, თუკი კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს, რომ შეუთავსებლობის საკითხების განხილვა წარმოადგენს სადისციპლინო კოლეგიის უფლებამოსილებას და მხოლოდ მის მიერ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში და შესაბამისად სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ იქნება შესაძლებელი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება ამ საფუძვლით.

– *დისციპლინური სამართალწარმოების ღიაობა*

დისციპლინური სამართალწარმოების სრული კონფიდენციალურობა იყო ერთ–ერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რის დარეგულირებასაც ისახავდა მიზნად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. ცვლილებებამდე დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი სრულად დახურული იყო არამხოლოდ დაინტერესებული პირებისთვის, არამედ საჩივრის ავტორისთვისაც. პროცესის სრული კონფიდენციალურობა კი გამორიცხავდა დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლს და აჩენდა კითხვის ნიშნებს მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და დასაბუთებულობასთან დაკავშირებით. კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეცვალა არსებული რეგულირება პროცესის მეტი გამჭვირვალობის სასარგებლოდ.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, 2011 წლის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ანალიზის შედეგები, რომლითაც გამოიკვეთა, რომ საბჭოში განსახილველად შესული 940 საჩივრიდან 422 საქმეზე შეწყდა დისციპლინური დევნა, 431 საქმე გაერთიანდა იმავე საკითხზე შემოსულ სხვა განცხადებებთან, გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი, 19 საქმეში კი მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით. განსხვავებით იმ საქმეებისგან, რომელთა განხილვა გრძელდება და რომელზე მიღებული გადაწყვეტილებაც, ახალი სტანდარტის შესაბამისად,გახდება საჯარო, საქმეთა უდიდეს ნაწილზე დამდგარი შედეგი, ისევე როგორც ამ შედეგის განმაპირობებელი გარემოებები ხელმისაწვდომი არ არის.

აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც კანონის მე–5 მუხლს დაემატება მე–2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს განცხადების (საჩივრის/შეტყობინების) ავტორის შესაძლებლობას, მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი შეტყობინება როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ისე სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ. ცვლილება შეეხო კანონის 81–ე მუხლსაც, რომელიც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას არეგულირებს. ცვლილების თანახმად, *„სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები, პირის პერსონალური მონაცემების გარეშე, ქვეყნდება ოფიციალურ ვებ–გვერდზე. სადისციპლინო კოლეგიასა და სადისციპლინო პალატას უფლება აქვთ, გამოაქვეყნონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.“*

მსგავსი ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის თვალსაზრისით. კანონმდებლობის სრული კონფიდენციალურობიდან ღიაობის სასარგებლოდ შეცვლა ხელს შეუწყობს პროცესის მიმართ არსებული ინტერესის დაკმაყოფილებას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში ახალი სტანდარტის პრაქტიკაში დამკვიდრების პარალელურად გამოიკვეთება დამატებითი ცვლილებების ხასიათი და მიმართულებები.

V. კომპეტენციების გამიჯვნა წარმომადგენლობით ორგანოებს შორის

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2003 წლის დასკვნის მიხედვით, ფუნქციათა სათანადო განაწილების უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლეთა ტრენინგი და დისციპლინური სამართალწარმოება არ უნდა იყოს ერთი და იგივე უწყების პირდაპირი პასუხისმგებლობა. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ანალოგიური პოზიცია დაფიქსირდა 2007 წლის დასკვნაშიც, რომლის მიხედვითაც, დისციპლინური სამართალდარღვევის საქმეები განხილულ უნდა იქნას დისციპლინური კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც სათანადოდ არიან წარმოდგენილნი მოსამართლე წევრები და, რომლებიც განსხვავდებიან იუსტიციის საბჭოს წევრებისგან.[25]

კომპეტენციების გამიჯვნასთან დაკავშირებული რეკომენდაცია მოცემულია კიევის რეკომენდაციებშიც, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულის უმთავრესი მიზანია ერთი კონკრეტული ორგანოს ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის თავიდან აცილება.

სასამართლო სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელთა გადანაწილებაც უნდა მოხდეს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ ორგანოებს შორის ,,შესაძლებელია შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლება;
- მოსამართლეთა ტრენინგები;
- მოსამართლეთა კარიერული წინსვლა/დაწინაურება;
- დისციპლინური სამართალწარმოება;

აღნიშნული ფუნქციებიდან უმეტესობა დაკისრებული აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მათ შორის საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარება, პირის მოსამართლედ დანიშვნა, დაწინაურება, მივლინება, თანამდებობიდან გათავისუფლება. საბჭოს წევრები სადისციპლინო კოლეგიის ფარგლებში განიხილავენ მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებს. საერთო სასამართლოების ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებთან მიმართებაში უფლებამოსილებები გადაცემული აქვს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, რაც ასუსტებს საბჭოს კომპეტენციებს ამ ნაწილში. თუმცა გასათვალისწინებელია საბჭოსა და დეპარტამენტს შორის არსებული სუბორდინაციაც. დეპარტამენტის თავმჯდომარე ინიშნება საბჭოს მდივნის მიერ, საბჭოსთან შეთანხმებით. თავის მხრივ, დეპარტამენტის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე.

ნათელია, რომ სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წამყვანი როლი აკისრია. ძირითადი ფუნქციები სწორედ საბჭოს ფარგლებში იყრის თავს და მათი გადანაწილება არ ხდება სხვა წარმომადგენლობით ორგანოებზე. აღნიშნული ვითარება განაპირობებს მნიშვნელოვანი ძალაუფლების კონცენტრაციას ერთი ორგანოს ხელში, რაც სისტემის ადმინისტრირების პროცესში სხვა ორგანოების შემხვედრი უფლებამოსილებებით ვერ ბალანსდება.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას არიდებული ჭარბი უფლებამოსილებების თავმოყრა ერთი სტრუქტურის ხელში და ასევე გაიზარდოს მოსამართლეთა თვითმმართველობის როლი სისტემის ადმინისტრირების პროცესში, შესაძლებელია კომპეტენციების გარკვეული ნაწილი გამოეყოს საბჭოს უფლებამოსილებებს და მათი გადანაწილება მოხდეს საბჭოსგან სრულიად დამოუკიდებელ ორგანოებზე.

25 პარაგრაფი #.64https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=CCJE(2007)OP10&Language=lanEnglish&Ver=original&Site=COE&BackColorInternet=FEF2E0&BackColorIntranet=FEF2E0&BackColorLogged=c3c3c3

კომპეტენციების გამიჯვნის საჭიროება უპირველესად უკავშირდება მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებას. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დისციპლინური სამართალწარმოების საქმეების მიუკერძოებელი განხილვა და გადაწყვეტა, საჭიროა, სადისციპლინო კოლეგია მთლიანად გამოეყოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და ამ მიზნით მოსამართლეთა კონფერენციის მიერ შეიმნას საბჭოსგან დამოუკიდებელი ორგანო.

გარდა დისციპლინური სამართალწარმოებისა, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ საბჭოსგან დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბებას მოითხოვს მოსამართლეთა შეფასებისა და დაწინაურების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მოსამართლეთა კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

– *სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევა*

კომპეტენციების განაწილების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ცალკე გამოიყოს სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის პროცესი. არსებული რეგულირების მიხედვით საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების თანამდებობაზე დანიშვნა წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოების თავმჯდომარეებს კონკრეტული სასამართლოს შიგნით, სამოსამართლეო უფლებამოსილებებთან ერთად, ადმინისტრირების ცალკეული ფუნქციებიც აქვთ დაკისრებული, ამავე სასამართლოს მოსამართლეებს შესაძლოა, ჰქონდეთ ლეგიტიმური ინტერესი, მონაწილეობდნენ სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში. ამგვარი შესაძლებლობა კონკრეტული სასამართლოს შიგნით გააჩენდა უფრო ჯანსაღ ურთიერთობას მოსამართლეებსა და სასამართლოს თავმჯდომარეს შორის.

ამის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება, გადაიხედოს სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის არსებული წესი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება მოხდეს სასამართლოების შიგნით ყველა მოსამართლის მონაწილეობით.

კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულებით დანაწილების მოდელი, რაც ზემოთ იქნა განხილული, ერთი მხრივ გამორიცხავს საბჭოს ხელში დაუბალანსებელი ძალაუფლების არსებობას, მეორე მხრივ კი გაზრდის მოსამართლეთა ჩართულობას პრინციპული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

VI. მოსამართლეთა დანიშვნა

საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლის თანამდებობაზე პირის გამწესების რამდენიმე გზას ითვალისწინებს. მათ შორისაა მოსამართლის თანამდებობაზე თავდაპირველი გამწესება, უკონკურსოდ დანიშვნა (საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი), უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრება (მივლინება) და დაწინაურება. უმრავლეს შემთხვევებში კანონმდებლობა აღნიშნული პროცედურების საკმაოდ ბუნდოვან და არასაკმარის რეგულირებას იძლევა, რაც თავისთავად გულისხმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დიდ დისკრეციულ უფლებამოსილებას გადაწყვეტილების მიღების დროს.

მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის წესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს დადებითი ცვლილება, რაც კანონმდებლობამ განიცადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ნაწილში. მანამდე არსებული წესის თანახმად, პირის მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის დროს აუცილებელი იყო საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, მათ შორის სამივე სახელისუფლებო რგოლის მიერ დანიშნული მინიმუმ თითო წევრის თანხმობა. ცვლილების

შემდეგ ერთი მხრივ გაუქმდა კანდიდატზე ე.წ ვეტოს დადების შესაძლებლობა და ამასთან გაიზარდა საჭირო ხმათა რაოდენობა. ამჟამად საბჭო პირს მოსამართლედ იმ შემთხვევაში დანიშნავს, თუ კანდიდატურას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლები სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტისა.

რაც შეეხება მოსამართლეთა დანიშვნის სხვა პრობლემურ საკითხებს, მათი უმეტესობა დაკავშირებულია ბუნდოვან რეგულირებებსა და პროცედურებთან, რაც კანონმდებლობაში მეტი სიცხადის შეტანას მოითხოვს.

კანონმდებლობა მოსამართლედ პირის პირველად დანიშვნის ორ შესაძლო წესს ითვალისწინებს:

ა) პირებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ იუსტიციის მსმენელებს[26];
ბ) პირებისთვის, რომლებიც გათავისუფლებულები არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან[27];

პირი, რომელიც გათავისუფლებულია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან, მოსამართლის თანამდებობას იკავებს კონკურსის წესით, რაც გულისხმობს ორ ეტაპიან შერჩევას, პირველ ეტაპზე – წარდგენილი დოკუმენტაციის, მეორე ეტაპზე კი – გასაუბრების (თუ საბჭო საჭიროდ ჩათვლის) საფუძველზე.

იუსტიციის მსმენელთა მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კი მხედველობაში მიიღება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

არსებული ორი წესის პირობებში საინტერესოა, როგორ ხდება მათი პრაქტიკაში გამოყენება და რამდენად ეძლევა კანონმდებლობით გათვალსწინებულ ყველა სუბიექტს თანაბარი შესაძლებლობა მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. საყურადღებოა, რომ განსხვავებულ სუბიექტთა წრე (მსმენელები და სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებული პირები) განსხვავებულ მოცემულობებს საჭიროებენ იმისთვის, რომ შეძლონ მოსამართლის თანამდებობის დაკავება. ამგვარი მოცემულობის შექმნა კი კანონმდებლობით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანაბარი სასტარტო პირობები კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სუბიექტისთვის.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სასამართლო სისტემის დაკომპლექტების პროცესში უპირატესობა ენიჭება იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს, რომელსაც სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსი აქვს გავლილი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. მიუხედვად იმისა, რომ ამგვარ მიდგომას შესაძლოა ობიექტური გამართლება ჰქონდეს, ის მაინც არ ათავისუფლებს შესაბამის ორგანოებს პასუხისმგებლობისგან, სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებულ პირებს მისცენ თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, როგორც ამას ითვალისწინებს კანონმდებლობა.

26 პირი, რომელიც შესაბამისი კონკურსის გავლის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად და მიიღო იუსტიციის მსმენლის დამადასტურებელი მოწმობა.

27 იუსტიციიის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან გათავისუფლებულები არიან:
უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი;
ყოფილი მოსამართლე, რომელსაც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა და აქვს მოსამართლედ მუშაობის მინიმუმ 18 თვის გამოცდილება;
იუსტიციის მსმენელთა სიაში შეყვანილი პირი, მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით ეკავა მას მოსამართლის თანამდებობა ან დაინიშნა თუ არა საერთოდ მოსამართლის თანამდებობაზე;
საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი და ყოფილი მოსამართლე.

– *პირები, რომლებიც გათავისუფლებულები არიან სკოლაში სწავლისგან*

მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი და პირობები განსაზღვრულია საბჭოს გადაწყვეტილებით „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის შესახებ", რომელიც განსხვავებულ რეჟიმს ითვალისწინებს სუბიექტთა განსხვავებული წრისთვის. წესის თანახმად, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს კონკურსს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით. თუმცა, ეს ნორმა ცალსახად არ მიუთითებს საბჭოს ვალდებულებაზე, ნებისმიერ ვაკანტურ ადგილზე გამოაცხადოს კონკურსი.

საკითხის ბუნდოვანებას ზრდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც **„რეგისტრაციის ვადის (იგულისხმება კონკურსის გამოცხადების დროს განცხადებების მისაღებად განსაზღვრული ვადა) გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისად განიხილავს მე-2 მუხლით გათვალისწინებულ განაცხადებს (იგულისხმება იუსტიციის მსმენელთა განაცხადები) <u>ან</u> ატარებს კონკურსს."** აღნიშნული ჩანაწერი და კერძოდ „ან" კავშირი შეიძლება წაკითხულ იქნეს ისე, რომ საბჭოს აქვს უფლებამოსილება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იუსტიციის მსმენელებიდან არ მოხდება მოსამართლეთა შერჩევა, ჩაატაროს კონკურსი და შეარჩიოს მოსამართლე იმ კანდიდატებიდან, რომლებიც გათავისუფლებულები არიან სკოლაში სწავლისგან და რომლებმაც კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნით განაცხადებით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ნორმის ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში საბჭოს ენიჭება უფლებამოსილება, საერთოდ არ გამოაცხადოს კონკურსი, ან კონკურსის გამოცხადების მიუხედავად, კანდიდატებს შორის არ განიხილოს იმ პირთა განაცხადები, რომლებიც გათავისუფლებულები არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან იმ საფუძვლით, რომ პრიორიტეტულად იქნა განხილული იუსტიციის მსმენელთა განცხადებები და მათგან იქნა შერჩეული მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი პირები. **იმის გათვალისწინებით, რომ პირთა იმ ნაწილისთვის, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან სკოლაში სწავლისგან, მოსამართლის თანამდებობის დაკავების ერთადერთი შესაძლებლობა საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაა, ამგვარი მიდგომა ართმევს მათ შესაძლებლობას რაიმე სხვა გზით მოხვდნენ სასამართლო სისტემაში.**

საყურადღებოა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის კიდევ ერთი ჩანაწერი, რომელიც საბჭოს ანიჭებს დისკრეციას, მისი სურვილისამებრ დაიბაროს მეორე ეტაპზე გასული კანდიდატი გასაუბრებაზე. იმისათვის, რომ სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებული პირების შერჩევის პროცესი იყოს გამჭვირვალე და იძლეოდეს კანდიდატთა შორის დიფერენცირების შესაძლებლობას, საჭიროა, კონკურსის მეორე ეტაპზე გასული კანდიდატების გასაუბრებაზე დაბარება იყოს კონკურსის სავალდებულო ნაწილი.

– *იუსტიციის მსმენელები*

იუსტიციის მსმენელებთან მიმართებაში საბჭოს მიერ დამტკიცებული წესი მიუთითებს, რომ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მათი ადგილი მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება. ამასთან, საბჭოს გადაწყვეტილებით მსმენელი შეიძლება მიწვეულ იქნეს საბჭოს სხდომაზე. ამ ჩანაწერების მიხედვით მსმენელთა შეფასების ძირითადი ნაწილი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კეთდება, რაც მხედველობაში მიიღება შემდგომში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატურის შეფასებისას. ამის გათვალისწინებით არსებული მოდელის პირობებში განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მიღების ეტაპი, შერჩევის წესი და კრიტერიუმები, ასევე მათი შეფასების პროცედურა.[28]

28 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ" საქართველოს კანონის თავდაპირველი რედაქციით,

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში პირთა მიღების პროცედურას, კონკურსის ფორმას, კანდიდატთა რეგისტრაციას, მსმენელად შერჩევის კრიტერიუმებსა და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს არეგულირებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება.[29] წესდებით განსაზღვრული პირობებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით სკოლაში მისაღებ კონკურსს ატარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

წესდების თანახმად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, მსმენელობის კანდიდატთა შერჩევა ხდება წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები კი საბჭოს მიერ შეიძლება დაბარებულ იქნან გასაუბრებაზე. კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება კანდიდატების შერჩევისას მოცემულია წესდების მე–8 მუხლში და ის აერთიანებს პიროვნულ თვისებებს, პროფესიულ უნარ–ჩვევებს, ანალიტიკურ–ლოგიკური აზროვნების უნარს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ წესდება განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება პირთა შეფასება, კანდიდატების შერჩევის პროცესი მაინც ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სათანადო გამჭვირვალობას. საბჭოს დისკრეცია, მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები მისი შეხედულებისამებრ მიიწვიოს გასაუბრებაზე, არ ქმნის შერჩევის ამ ეტაპზე ინფორმაციის მიღების და დაკვირვების შესაძლებლობას. ამასთან, ხელს არ უწყობს კანდიდატებს შორის არსებული სხვაობების გამოკვეთისა და საბჭოს მიერ კანდიდატებს შორის გაკეთებული არჩევანის შეფასების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ იცნობს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მსმენელად მიღება სუბიექტთა დიდი წრისთვის არის მოსამართლის თანამდებობის დაკავების ერთადერთი გზა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, მსმენელობის კანდიდატებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვონ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზია. შესაძლოა, სკოლაში მისაღები კონკურსისთვის შეიქმნას საპრეტენზიო კომისია, რომელსაც ექნება უფლება, განიხილოს მსმენელობის კანდიდატების განცხადებები. თუმცა, სკოლაში მიღების ეტაპის მეტი გამჭვირვალობისა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით საჭიროა, პროცესი ქმნიდეს დაკვირვების და შეფასების შესაძლებლობას. ამისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაინტერესებული პირების დასწრება მსმენელობის კანდიდატების შერჩევის პროცესზე.

– *კომპეტენციების გამიჯვნა საბჭოსა და სკოლას შორის:*

კანონმდებლობა ნათლად არ მიჯნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის უფლებამოსილებებსა და კომპეტენციებს. ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია მსმენელთა საბოლოო შეფასებისა და მათი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაგზავნის ეტაპზე.

არსებული რეგულირების პირობებში მოსამართლეთა კორპუსის დაკომპლექტება წარმოადგენს საბჭოს უფლებამოსილებას. შესაბამისად, სწორედ საბჭოა პასუხისმგებელი ვაკანტურ პოზიციებზე კვალიფიციური კადრების დანიშვნაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით და იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოსამართლეთა ვაკანტური პოზიციების შევსების მთავარი წყარო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები არიან, საბჭოს აქვს სრულიად ლეგიტიმური ინტერესი, მონაწილეობდეს სკოლაში მიღების ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოსთვის

2008 წელს განხორციელებულ ცვლილებებამდე, კანონი შეიცავდა ჩანაწერს, რომელიც არეგულირებდა კონკურსის ჩატარების პირობებს და უზრუნველყოფილი იყო როგორც გასაუბრება კანდიდატთან, ასევე გასაუბრების ვიდეოგადაღება და კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა. ამჟამად კანონის მოქმედ რედაქციაში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს.

29 წესდების დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს.

მოსამართლის თანამდებობაზე კვალიფიციური კადრის დანიშვნის პასუხისმგებლობის დაკისრება გაუმართლებელი იქნებოდა.

რაც შეეხება სკოლაში სწავლისა და სკოლაში შეფასების ეტაპს, ეს მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციისა და დამოუკიდებელი საბჭოს კომპეტენციაა. ამის გათვალისწინებით საჭიროა, კანონმდებლობამ ნათლად განსაზღვროს, რა ტიპის ინფორმაციას იღებს საბჭო იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მსმენელის მიერ 10 თვიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. გონივრული იქნება, იუსტიციის მსმენელთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნას შეფასება, რომელიც გააერთიანებს, როგორც გამოცდებისა და სემინარული მუშაობის შედეგების შეფასებას, ისე სკოლის მასწავლებელთა, სტაჟირების ხელმძღვანელთა შეფასებას და მსმენელის დისციპლინის აღწერას. აღნიშნული შეფასება კი გადაეგზავნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც ამას მხედველობაში მიიღებს მსმენელის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. მსმენელებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს საბჭოს უფლებამოსილება, გამოითხოვოს მათი დახასიათებები სხვადასხვა დაწესებულებიდან.

საჭიროა, კანონმდებლობამ ნათლად გაავლოს ზღვარი საბჭოსა და სკოლის კომპეტენციებს შორის და ამასთან, მინიჭებული კომპეტენციები პასუხობდეს თითოეული ორგანოს ფუნქციასა და პასუხისმგებლობის ხარისხს. ამასთან, მნიშვნელოვანია ცალსახად გაიწეროს, რომ პირის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, რაც გულისხმობს საბჭოს შესაძლებლობას, მსმენელთა მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებისას მიიღოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გადაწყვეტილება სკოლიდან მიღებული შეფასებისა და მის მიერ დამატებით მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, ნათლად უნდა გაიწეროს ის პროცედურა, რითიც საბჭო ხელმძღვანელობს იუსტიციის მსმენელების მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. კერძოდ, ხდება თუ არა მსმენელთა დაბარება საბჭოს სხდომაზე გასაუბრების მიზნით, თუ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება სკოლიდან მიღებული შეფასების საფუძველზე.

დასკვნის სახით, უნდა გამოიყოს ის ძირითადი საკითხები, რაც მოსამართლეთა დანიშვნის წესთან დაკავშირებით დამატებით ცვლილებებს მოითხოვს კანონმდებლობაში.

პირველ რიგში საჭიროა, კანონმდებლობამ ყველა სუბიექტს შეუქმნას თანაბარი პირობები მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. ამისთვის კი საჭიროა, გაჩნდეს საბჭოს ვალდებულება ვაკანტური ადგილის არსებობისას კონკურსის სავალდებულო წესით გამოცხადებასთან დაკავშირებით.

როგორც მსმენელების, ისე სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებული პირების შეფასების პროცესი უნდა გახდეს უფრო ცხადი და გამჭვირვალე. ამისთვის საჭიროა, ერთის მხრივ ნათლად გაიწეროს შერჩევის ეტაპები და ამასთან, დადგინდეს კონკურსის მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებთან ინტერვიუს ჩატარების სავალდებულობა.

დამატებით რეგულირებას საჭიროებს მსმენელთა სკოლაში მიღების საკითხიც. ამ ეტაპზეც საჭიროა უფრო მეტი გამჭვრივალობის უზრუნველყოფა და კანდიდატებისთვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზიის პროცესის შემოღება.

VII. მოსამართლეთა მივლინება

მოსამართლის სხვა სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილების დაკისრება (მივლინება) არ წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების სტანდარტულ ფორმას. მას საგამონაკლისო ბუნება და კონკრეტული მიზანი აქვს. თუმცა ამის მიუხედავად, მისი გამოყენების ინტენსივობამ და პრაქტიკამ საკითხის განსხვავებული რეგულირების საჭიროება წარმოშვა.

ამ მიზნით ცვლილებები განხორციელდა „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგამონაკლისო ბუნების მქონე მექანიზმის საკანონმდებლო რეგულირება. კერძოდ, დადგინდა მოსამართლის მივლინების ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც საბჭოს მიერ მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა მოსამართლის თანხმობა. თუმცა, ცვლილებებმა თანხმობასთან დაკავშირებით საგამონაკლისო წესიც დაადგინა. ასევე, დადგინდა მივლინების ვადა, რაც გაიწერა 1 წლით (დამატებით 1 წლით გაგრძელების შესაძლებლობით). ამ ცვლილებებმა კიდევ უფრო გამოკვეთა მივლინების მექანიზმის განსაკუთრებული და საგამონაკლისო ბუნება, თუმცა სრულად ვერ აღმოფხვრა მასთან დაკავშირებული პრობლემები.

კანონით უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების საფუძვლები შემდეგია:

კონკრეტულ სასამართლოში
<u>ა) მოსამართლის არყოფნა;</u>
<u>ბ) საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა.</u>

ეს საფუძვლები მიუთითებს, რომ მივლინების ღონისძიება არის დროებითი ხასიათისა. ის უნდა გაუქმდეს მისი გამოყენების გამომწვევი საფუძვლების ამოწურვისთანავე. ეს გარემოება კი შეიძლება დადგეს მივლინების ვადის ამოწურვამდეც. ამიტომაც, მივლინების მაქსიმალური ვადის განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ მივლინების შეწყვეტა დაუკავშირდეს კონკრეტული ფაქტის დადგომას, მაგალითად, საქმეთა რაოდენობის კონკრეტულ ნიშნულამდე დაწევას. ამ შემთხვევაშიც, თუნდაც გასული არ იყოს მივლინების ვადა, მოსამართლე უნდა დაბრუნდეს მისი გამწესების ადგილას.

რაც შეეხება მოსამართლის თანხმობას, კანონში გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, საბჭოს უფლება მიეცა, მოსამართლე მისი თანხმობის გარეშე მიავლინოს სხვა სასამართლოში, თუკი ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესი. საგამონაკლისო წესის გამოყენების დაკავშირებამ იმდენად ფართო საფუძველთან, როგორიცაა მართლმსაჯულების ინტერესი, შესაძლოა გამოიწვიოს ზოგადი წესის ჩანაცვლება საგამონაკლისო წესით და მოსამართლეთა მიმართ ამ მექანიზმის გამოყენება სწორედ საგამონაკლისო ჩანაწერის საფუძველზე. თეორიულად შესაძლებლია, სასამართლო სისტემაში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი დაუკავშირდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ამიტომ მნიშვნელოვანია საბჭოს მიერ განვითარებული პრაქტიკის ანალიზი, რაც შესაძლებელი იქნება შეცვლილი კანონმდებლობის საფუძველზე მოსამართლეთა მივლინების შემდეგ.

სხვა საკითხებთან ერთად დაზუსტებას მოითხოვს ერთი გარემოება, შეიძლება თუ არა 1 წლის ვადით მოსამართლის მივლინების შემდეგ, ის კვლავ იქნეს მივლინებული სხვა სასამართლოში. არსებული ნორმა ამ კითხვას ვერ პასუხობს, ვინაიდან აქცენტს აკეთებს მხოლოდ მივლინების ვადის გაგრძელებაზე, თუმცა არ მიუთითებს, კონკრეტულ სასამართლოში მივლინების ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია თუ არა მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება. ამ საკითხის დამატებითი რეგულირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

- ✓ *სასამართლოში, სადაც დანიშნულია პირი, აღარ რჩება მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა;*
- ✓ *მოსამართლეს უკვე დაკისრებული აქვს სხვა მოსამართლის უფლებამოსილება;*
- ✓ *მოსამართლისათვის სხვა მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრებიდან არ არის გასული ერთი წელი;*

მივლინების მექანიზმის საგამონაკლისო ხასიათის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ იყოს დასაბუთებული და პასუხობდეს კანონის მიზნებს.

VIII. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე, თავისი თანხმობით, უკონკურსოდ დაინიშნოს ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლედ, რისთვისაც საკმარისია სხვა სასამართლოში ვაკანტური პოზიციის არსებობა და მოსამართლის თანხმობა. მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და შეფასების წესი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

ასეთი ჩანაწერის არსებობა კანონში, რომელიც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე აძლევს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაძლებლობას, უკონკურსოდ მოახდინოს მოსამართლის დანიშვნა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, არ შეესაბამება მოსამართლეთა პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების ერთიანი, მწყობრი სისტემით მიღების პრინციპს. კანონმდებლობა შესაძლოა, ითვალისწინებდეს მოსამართლის გადაყვანის საშუალებას, თუმცა ამ საფუძვლის არსებობამ არ უნდა მისცეს უფლებამოსილ სუბიექტს შესაძლებლობა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოიყენოს გადაყვანის წესი.

ამის გათვალისწინებით, საჭიროა, შეიზღუდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, მოსამართლის უკონკურსოდ დანიშვნა გამოიყენოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამასთან აუცილებელია:

- *იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წერილობით დაასაბუთოს მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის აუცილებლობა;*
- *გამონაკლის შემთხვევებში აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება მხოლოდ ერთი და იგივე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე დანიშვნისას;*
- *გაითვალისწინოს ერთი და იგივე დონის სხვადასხვა სასამართლოებში არსებული განსხვავებული საკონკურსო მოთხოვნები.*

IX. მოსამართლეთა დაწინაურება

მოსამართლეთა დაწინაურების საკითხზე საუბრობს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს ვალდებულება, შეიმუშაოს დაწინაურების კრიტერიუმები და აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასოს მოსამართლეები. 2011 წლის 27 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“. თუმცა ამ წესში არ მომხდარა დაწინაურების კრიტერიუმებისა და პროცედურის გათვალისწინება. წესის მე–15 მუხლის მიხედვით, შეფასების შედეგების გათვალისწინებით, საბჭოს წარედგინება რეკომენდაციები ცალკეულ მოსამართლეთა წახალისების თაობაზე,

თუმცა წესში განსაზღვრული არ არის, რა ტიპის წახალისებაზეა საუბარი. წესი შეფასების საფუძველზე ასევე განსაზღვრავს მოსამართლისთვის დანამატის გაცემის შესაძლებლობას. შეფასების საფუძველზე მოსამართლეთა დაწინაურების მექანიზმზე წესში საუბარი არ არის.

აქედან გამომდინარე, საბჭოს კვლავ რჩება ვალდებულება, შეიმუშაოს მოსამართლეთა დაწინაურების ნორმატიული ბაზა და ჩამოაყალიბოს დაწინაურების კრიტერიუმები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- *იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ უნდა ჰქონდეს უფლება, გამოიყენოს მოსამართლის დაწინაურების შესაძლებლობა, თუკი მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას საქალაქო (რაიონულ) სასამართლოში არ ახორციელებს კანონით დადგენილი კონკრეტული ვადის განმავლობაში მაინც. ამ ვადის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მოსამართლის უვადოდ დანიშვნამდე შესაძლებელია მოხდეს მისი გამწესება 3 წლის ვადით. ამიტომ, უმჯობესია, აღნიშნული ვადა სულ ცოტა 3 წლით განისაზღვროს.*
- *მოსამართლის დაწინაურება დაუშვებელი უნდა იყოს იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მის მიმართ მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება;*

X. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა

მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობის განხილვისას რამდენიმე კომპონენტი უნდა გამოიყოს, მათ შორისაა ზოგადად ადმინისტრირების პროცესის გამჭვირვალობა და სასამართლოს სხდომების საჯაროობა.

დადებითად უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკა საკუთარი სხდომების შესახებ ინფორმაციის საკუთარ ვებ–გვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით. ასევე, საბჭოს მიერ საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რამაც პროცესის ღიაობის თვალსაზრისით ახალი მოცემულობის შექმნას უნდა შეუწყოს ხელი.[30]

რაც შეეხება სხდომების საჯაროობის საკითხს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ადგენს საქმის განხილვის ღიაობის პრინციპს. თუმცა აწესებს შეზღუდვის განსხვავებულ რეჟიმებს საქმის განხილვისას სხდომის ფოტო, ვიდეო, კინოგადაღებისა და ტრანსლაციის, ისე როგორც სხდომის სტენოგრაფირებისა და აუდიოჩაწერის მიმართულებით.

პრობლემები სხდომების საჯაროობის პრინციპის შეზღუდვის თითოეულ რეჟიმთან მიმართებით განსხვავებულია. ამიტომაც, უმჯობესია მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა.

– *ფოტო, ვიდეო, კინოგადაღება, ტრანსლაცია*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი კრძალავს სხდომის ვიდეო, ფოტო, კინოგადაღებასა და ტრანსლაციას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხორციელდება სასამართლოს და სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ. ტერმინი – “სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი” იძლევა ჩანაწერის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რათა მასში მოიაზრებოდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელსაც სასამართლო მსგავს უფლებამოსილებას მიანიჭებს. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული ჩანაწერის ქვეშ კვლავ სასამართლო ხელისუფლება მოიაზრება. ამ მსჯელობას ადასტურებს უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის, სადაც უზენაესი სასამართლოს განმარტებით მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება სასამართლო

30 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/sazogadoebasTan%20komunikacia.pdf

სხდომის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება განახორციელოს. **იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონმდებლის ნება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სასამართლოს მიერ უფლებამოსილების მინიჭების პირობებში აძლევს პროცესის გაშუქების უფლებას, კანონი არ ადგენს რეგულაციას არსებული უფლების რეალიზაციისთავის. პრაქტიკამ კი ასეთის დამკვიდრება ვერ უზრუნველყო.**

პრობლემურია თავად სასამართლოს მიერ გადაღებული სასამართლო სხდომის მასალების გაცემის საკითხი. კანონი არ ადგენს აღნიშნული მასალების ღიაობის პრეზუმციას და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი სტანდარტის შესაბამისად სასამართლოს არ აკისრებს მისი გაცემის ვალდებულებას. უფრო მეტიც, კანონი სცნობს სასამართლოს დისკრეციას მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული მასალების ხელმისაწვდომობის თაობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ღიაობის ზოგად სტანდარტთან. სასამართლო სხდომის ჩანაწერები ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიერ დადგენილი საჯარო ინფორმაციის დეფინიციის ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლოს უნდა დაეკისროს ვალდებულება სზაკ–ით დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს მის ხელთ არსებული მასალები.

არსებულ რეგულაციასთან დაკავშირებული პრაქტიკის ანალიზის მიზნით საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია. 38 სასამართლოდან მიღებული პასუხების სრული უმრავლესობა იდენტური შინაარსისაა და არ ირკვევა, თუ როგორ ახორციელებდა სასამართლო აღნიშნული მუხლის საფუძველზე სასამართლო პროცესის ჩაწერას ან საერთოდ განხორციელდა თუ არა ასეთი რამ. მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ საერთო სასამართლოების მთელი სისტემიდან პროცესის ჩაწერას დარბაზებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების მეშვეობით ადგილი ჰქონდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, გაუგებარია, პროცესების ჩაწერა ხდებოდა რეგულარულად, თუ მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში.

სასამართლოები არ აწარმოებენ იმ განცხადებების აღრიცხვას, რომლითაც სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა პროცესის ფოტო და ვიდეო მასალა. ასევე, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ გვაცნობა, არ ხდება მასალის დაარქივება, რაც გამორიცხავს აღნიშნული მასალის ხელმისაწვდობას დაინტერესების შემთხვევაში.

ამ პირობებში მნიშვნელოვანია, ცვლილებას დაექვემდებაროს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლი. კანონი, ნაცვლად აკრძალვისა, უნდა ადგენდეს ღიაობის სტანდარტს და განსაზღვრავდეს, რომ სასამართლო სხდომის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია **დაშვებულია,** თუ მას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. გარდა ზემოაღნიშნულისა, სხდომების ჩანაწერი, რომელსაც ფლობს სასამართლო, უნდა მოექცეს საჯარო ინფორმაციის რეგულირების სფეროში, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს ცალსახა ვალდებულებას, გასცეს ღია სასამართლო სხდომის ამსახველი მასალები.

სასამართლო სხდომის ფოტო, ვიდეოგადაღებისა და ტრანსლაციის რეგულირების მიზნით კი მნიშვნელოვანია, გაიწეროს პროცედურა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიანიჭებს სასამართლო სხდომის სასურველი ფორმით ჩაწერის უფლებამოსილებას შესაბამისი განცხადების საფუძველზე, როდესაც მოთხოვნა დაყენებული იქნება სათანადო ფორმით და სათანადო დროში.

ამისთვის საჭიროა, შემუშავებულ იქნას კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, დამტკიცებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც პროცედურულად მოაწესრიგებს არსებული ნორმის მოქმედებას. შემუშავებული წესი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს და მიიღოს სასამართლო სხდომის

ჩაწერის უფლებამოსილება მისთვის სასურველი ფორმით. ამ მიზნით შესაძლოა, საბჭოს გადაწყვეტილებაში დადგინდეს როგორც სასამართლოსთვის მიმართვის, ისე სასამართლოს მხრიდან რეაგირების ვადები.

მნიშვნელოვანია, ნათლად გაიწეროს სასამართლოსვალდებულება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ჩაიწეროს სასამართლო სხდომა, ხოლო ტექნიკური მიზეზით ზემოაღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში პირს მიანიჭოს ჩაწერის განხორციელების უფლებამოსილება.

– *სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა*

სტენოგრაფირებასთან და აუდიოჩაწერასთან დაკავშირებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე არ ადგენს ღიაობის სტანდარტს. კანონმდებლობა არ კრძალავს ზემოაღნიშნულ მოქმედებებს, თუმცა, მიუთითებს რომ სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, რაც საჯაროობის პრინციპის არაგონივრულ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, მოქმედი რეგულირება ღიაობის სასარგებლოდ შეიცვალოს.

კანონში არსებული ჩანაწერის აღსრულებას ართულებს ის ფაქტი, რომ სასამართლოების მიერ არ არის დადგენილი უფლების რეალიზების შესაბამისი წესი. ჩვენი ინფორმაციით, ამ დროისათვის ასეთი წესი მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს აქვს შემუშავებული. თუმცა იგი არ არის ხელმისაწვდომი საქალაქო სასამართლოს ვებ–გვერდზე და მისი მიღება მხოლოდ შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ არის შესაძლებელი, რაც დამატებით ართულებს მის ხელმისაწვდომობას.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს სხდომის სტენოგრაფირებისა და აუდიოჩაწერის განხორციელების უფლებამოსილება ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ პირს, ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე. თუმცა, შესაძლებელია მოსამართლეს სხდომის დაწყების წინ ჰქონდეს უფლებამოსილება, გაარკვიოს სხდომაზე დამსწრე პირთა შორის არიან თუ არა აუდიოჩაწერის მსურველები. ასეთი პირები ვალდებულნი არიან, გამოხატონ სურვილი, რაც ფიქსირდება სასამართლოს სხდომის ოქმში მათი სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით.

– *საერთო სასამართლოების სისტემაში დაცულ დოკუმენტებში მონაცემთა დამუშავების პრობლემები*

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვლისწინებს სასამართლოში დაცული ინფორმაციის (საქმის მასალები, გადაწყვეტილებები) გაცემის და დამუშავების (დაშტრიხვის) წესებს. აღნიშნული არ რეგულირდება რაიმე სახის კანონქვემდებარე აქტით. არ არსებობს ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფდა ზოგადი სახის სტანდარტის დადგენას. ყოველივე ზემოაღნიშნული პრაქტიკაში უამრავ პრობლემას წარმოქმნის. უპირველეს ყოვლისა იკვეთება არაერთგვაროვანი მიდგომა გამოთხოვილ გადაწყვეტილებებში გარკვეული მონაცემების დამუშავებისა (დაფარვა, დაშტრიხვა). არ არსებობს სახელმძღვანელო სტანდარტი სასამართლოს საჯარო ინფრომაციაზე პასუხისმგებელი თუ სხვა უფლებამოსილი პირებისთვის, რაც საბოლოოდ დაინტერესებულ პირს სასამართლოს უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული არასრული ინფორმაციის გასაჩივრების უფლებას უკარგავს.

საკითხის რეგულირებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს სამართალწარმოების თავისებურებები, რაც განსხვავებული მიდგომების ჩამოყალიბებაში უნდა აისახოს. უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის მკვეთრი მიჯნის დადგენა და განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ინფორმაციის გაცემის შეზღუდვა. ამასთანავე, დადგენილი სტანდარტები უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კანონმდებლობასა და ინფორმაციის

თავისუფლების პრინციპებს.
საჭიროა შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების სისტემაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, იმავე დოკუმენტით უნდა დადგინდეს საერთო სასამართლოების სისტემაში შექმნილ დოკუმენტებში იმ მონაცემთა დამუშავების წესები, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო ინფორმაციას ან წარმოადგენენ დახურული სახის საჯარო ინფორმაციას და დაუშვებელია მათი გაცნობა არაუფლებამოსილი პირებისთვის. რეგულაციამ თავის მხრივ უნდა გაითვალისწინოს განსხვავებული მიდგომა სამართალწარმოების ტიპების მიხედვით. კერძოდ, საჯაროობის პრინციპი განსხვავებული უნდა იყოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში, რათა დაცული იყოს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსი.

ერთიანი სტანდარტების დამკვიდრება უზრუნველყოფს ერთგავროვანი პრაქტიკის განვითარებას საერთო სასამართლოთა სისტემაში და ამავდროულად, ხელს შეუწყობს სასამართლოს გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებას.

XI. ანაზღაურება

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების საკითხი შესაძლოა მივაკუთვნოთ იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელთა ნათლად და არაორაზროვნად განსაზღვრა კანონმდებლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ საკითხის მოწესრიგება ნათელი და არა ორაზროვანი ნორმებით საფუძველია სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხს ეხება არაერთი საერთაშორისო აქტი, მათ შორის: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობაზე (გაეროს ძირითადი პრინციპები)[31], ე.წ. სინგვის დეკლარაცია,[32] მოსამართლის უნივერსალური ქარტია[33], ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსზე (ევროპული ქარტია)[34], მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის მოსამართლეებზე: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობები (რეკომენდაცია).[35] მოცემულ საერთაშორისო აქტებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეები ადეკვატური ანაზღაურებით, მათი პროფესიული გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად და პერიოდულად გადახედოს ანაზღაურების საკითხს ინფლაციის შესაბამისად. ამასთან, მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების მთავარი ნაწილი არ უნდა იყოს დამოკიდებული მოსამართლეთა მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასამართლოს დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ, აღნიშნულ საერთაშორისო აქტებში არაფერია ნათქვამი მოსამართლეებისათვის თანამდებობრივ სარგოსთან ერთად პრემიებისა და დანამატების გაცემაზე.

31 მიღებულია გაეროს მე-7 კონგრესზე, მილანში 26 აგვისტო-6 სექტემბერს, 1985 წელს; იხ.http://www2.ohchr.org/english/law/indjudiciary.htm

32 http://www.cristidanilet.ro/docs/Shingvi%20Declaration.pdf

33 ტექსტზე მუშაობდნენ მოსამართლეები მსოფლიოს მასშტაბით, დამტკიცებულია მოსამართლე საერთაშორისო ასოციაციის წევრი ასოციაციები მიერ. ტექსტი ერთხმად იქნა დამტკიცებული მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ცენტრალური საბჭოს შეხვედრაზე, ტაივანში, 17 ნოემბერს, 1999 წელს; იხ. http://www.hjpc.ba/dc/pdf/THE%20UNIVERSAL%20CHARTER%20OF%20THE%20JUDGE.pdf

34 მიღებულია სტრასბურგში 1998 წელს 8-10 ივლისის შეხვედრის დროს. აღნიშნული დოკუმენტის შექმნის იდეა წარმოიშვა 1997 წელს, სტრასბურგში შეხვედრაზე, რომელიც ევროპაში მოსამართლეების სტატუსს ეძღვნებოდა. http://www.judicialcouncil.gov.az/Law/echarte.pdf)

35 მიღებულია 2010 წლის 17 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტის მიერ https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?Ref=CM/Rec(2010)12&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ვენეციის კომისიის მოსაზრებები. კომისიის 2008 წლის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა ანაზღაურება უნდა იყოს მათი საქმიანობის შესაფერისი, რაც წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მათი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. კომისია მიუთითებს, რომ ანაზღაურება უნდა განსაზღვროს ქვეყნის სოციალური პირობების შესაბამისად და მოსამართლეთა ანაზღაურება თანამდებობის პირთა ანაზღაურებაზე დაბალიარ უნდა იყოს. ანაზღაურების განსაზღვრისას ქვეყანა უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ და განჭვრეტად და ნათლად ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და არ უნდა იყოს დამოკიდებული თითოეული მოსამართლის მიერ შესრულებულ საქმიანობაზე. ბონუსების სისტემა, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა უფლებამოსილი ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, უნდა გამოირიცხოს. ვენეციის კომისიის 2008 წლის რეკომენდაციით, ასევე უნდა გაუქმდეს არაფულადი სახის შეღავათებით მოსამართლეთა უზრუნველყოფა, რაც სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლოა გამოიხატოს მოსამართლის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაში და რაც, კომისიის აზრით, არის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადასაწყვეტი, რამაც შესაძლოა ხელყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხი.

ვენეციის კომისია საბლოოდ მიუთითებს, რომ მოსამართლეთა ანაზღაურების საკითხი პირ-დაპირ კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს და იმ ქვეყნებში, სადაც სოციალურ-ეკონო-მიკური ვითარებიდან გამომდინარე,მოსამართლეებს აქვთ ბონუს სისტემებისა და არაფუ-ლადი სახის დამატებით პრივილეგიებით სარგებლობის უფლება, თანდათან უნდა შეიცვალოს და მოსამართლეებს დაუდგინდეთ შესაბამისი ოდენობის მხოლოდ ფულადი ანაზღაურება.[36]

– *საქართველოში პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შრომის ანაზრაურებისა და სოციალური დაცვის გარანტიები*

რაც შეეხება საქართველოში მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას, მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების საკითხი განსაზღვრულია საქართველოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ასევე , „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ანაზღაურების შესახებ“ კანონით.

მსგავსად სხვა საჯარო მოხელეებისა, მოსამართლის შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსგან და დანამატისგან.[37]კანონმდებლობა და კერძოდ, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საერთო სასამართლოების (პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების) მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს პირდაპირ დადგენილი სახელფასო განაკვეთის შესაბამისი ოდენობებით[38]. თითოეული ინსტანციის მო-სამართლისათვის კანონმდებლობა ადგენს განსხვავებული ოდენობის თანამდებობრივ სარგოს, რომელთა შემცირება მოსამართლთა უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში დაუშვებელია.

36 იხ. European Commission For Democracy Through Law (Venice Commission) Report on the Independence of the Judicial system part I The Independence of Judges Adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session 12-13 march 2010

37 იხ. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი მუხლი 69.

38 იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად დადგენილია შემდეგი თანამდებობრივი სარგოები: სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე – 4 200 ლარი;სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – 3 300 ლარი;სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე – 2 900 ლარი;სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე – 2 500 ლარი;რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე – 2 500 ლარი;რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე – 2 400 ლარი;რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე – 2 300 ლარი.

რაც შეეხება თანამდებობრივ სარგოსთან ერთად დანამატის გაცემას, კანონმდებლობა, როგორც ზოგადად საჯარო მოხელეების შემთხვევაში, ასევე მოსამართლეთა მიმართ, პირდაპირ არ განსაზღვრავს გასაცემი დანამატების ოდენობას ან გაცემის პერიოდულობას. კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, წლიური საბიუჯეტო კანონით საერთო სასამართლოებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გასცეს მოსამართლეთა თანამდებობრივი დანამატები, გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ, ა) კონკრეტული მოსამართლის დატვირთულობისა და/ან განსახილველ საქმეთა სირთულის გათვალისწინებით; ბ) კონკრეტული რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით; გ) „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ორზე მეტ სასამართლოში მივლინების შემთხვევაში; დ) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრებისას; ე) გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში; ვ) მოსამართლის უფლებამოსილების მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით განხორციელების შემთხვევაში; ზ) სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე ცხადია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს შესაძლებლობა, საკმაოდ ფართო საფუძვლების შესაბამისად, მოსამართლეებზე თანამდებობრივ სარგოსთან ერთად გასცეს დანამატებიც. ამასთან, კანონმდენლობით არ არის გათვალისწინებული აღნიშნული დანამატების არც მინიმულური და არც მაქსიმალური ოდენობები. გარდა ამისა, კანონმდებლობით დანამატების გაცემის საფუძვლები არ არის ამომწურავად განსაზღვრული და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას სხვადასხვა შემთხვევაში, როცა თავად მიიჩნევს შემთხვევას „განსაკუთრებულად“, გასცეს აღნიშნული დანამატები. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ არ მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და შესაბამისად, არც მის მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება, რაც დამატებით უზრუნველყოფდა საბჭოს მიერ დანამატების გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ამ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

საერთო სასამართლოების მოსამართლეები მიეკუთვნებიან იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, **„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისადა კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ევალებათ შეავსონ თანამდებობის პირთა ყოველწლიური დეკლარაცია.** 2010 წელს საერთო სასამართლოებში მომუშავე მოსამართლეთა მიერ შევსებული დეკლარაციებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოვყოთ მოსამართლეთა რამდენიმე კატეგორია: პირველი ინსტანციის მოსამართლეთა ნაწილს (168 მოსამართლიდან 55 მოსამართლეს) სასამართლოებში საქმიანობისათვის მიღებული აქვთ შემოსავალი 30 000 დან 38 000 ლარის ოდენობით. ცალკეული მოსამართლეების შემთხვევაში მიღებული ანაზღაურების ოდენობა 24 000-დან 30 000 ლარამდე მერყეობს. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულ მოსამართლეთა მიერ მიღებული ანაზღაურების ოდენობა განსხვავდება პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოსბი მოსამართლეთა მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების ოდენობისაგან და 42 ათასიდან 47 ათას ლარამდე მერყეობს. რაც შეეხება ცალკეული სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მიერ მიღებული შემოსავალი 55 ათასიდან 57 ათას ლარამდე მერყეობს.

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, თითოეულ თანამდებობის პირს ევალება დეკლარაციაში შევსებისას მიუთითოს, მის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს ნაცვლად მიღებული შემოსავალის ოდენობა, რომელშიც იგულისხმება როგორც ხელფასის, ასევე დანამატის სახით მიღებული თანხები. კანონმდებლობით დადგენილი თანამდებობრივი სარგოების ოდენობების გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს, რა ოდენობის

დანამატი აქვს მიღებული მოსამართლეს წლის განმავლობაში, თუმცა შეუძლებელია დანამატ-ის ოდენობების თვეების მიხედვით გამოთვლა და დანამატის გაცემის საფუძვლის განსაზღვრა.

კანონმდებლობით არ არის დადგენილი არც დანამატების მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, რაც უფლებამოსილ სუბიექტს - იუსტიციის საბჭოს – შესაძლებლობას აძლევს მიიღოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა თანამდებობრივი სარგოსა და სახელფასო დანამატისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იმ მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა ან საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურება, რომელთაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილას არ აქვთ საცხოვრებელი ბინა. განსხვავებით სახელფასო დანამატების ოდენობებისაგან, მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, იუსტიციის საბჭო ადგენს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოსაყოფი თანხების ზღვრულ ოდენობას. მაგალითად, 2011 წლის 10 მარტის #1/56 გადაწყვეტილებით იუსტიციის საბჭოს მიერ განსაზღვრული იქნა ბინის დაქირავებისათვის გამოსაყოფი თანხების ზღვრული ოდენობები.[39] ამასთან, იუსტიციის საბჭოს 2011 წლის გადაწყვეტილებით, საქართველოს 24 თვითმმართველ ერთეულში საბჭო 67 მოსამართლეს უხდის საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის შესაბამის თანხებს. ამ 67 მოსამართლიდან 24 მოსამართლე მივლინებულია შესაბამის სასამართლოში და ამიტომ საჭიროებს საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის თანხების გადახდას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიყოს მოსამართლეთა მიერ მიღებული შემოსავალის სამი სახე: თანამდებობრივი სარგო, დანამატი და, საჭიროების შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია მოსამართლეთა სიცოცხ-ლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა დაზღვევის თანხები იფარება საერთო სასამართლოების ბიუჯეტიდან.სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეების სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით ან ვაუჩერის საშუალებით.[40]

საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობის, მართლმსაჯულების სისტემაში არსე-ბული ვითარებისა და ამ სფეროში არსებული პრაქტიკის თუ გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ცალკეული რეკომენდაციების ჩამოყალიბება საქართველოში მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად, რაც, საერთო ჯამში, მო-სამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას უზრუნველყოფს.

ამ მიმართულებით, არსებული ვითარების შესაცვლელად უმჯობესია:

- გაუქმდეს მოსამართლეთათვის დანამატის გაცემის შესაძლებლობა;
- დანამატების გაცემის შესაძლებლობის გაუქმების გათვალისწინებით, გაიზარდოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობა.

39 თბილისი - 550 ლარი; ბათუმი, ქუთაისი, ხელვაჩაური - 495 ლარი, რუსთავი - 385 ლარი, გორი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, სიღნაღი და ფოთი - 330 ლარი და სხვა თვითმმართველობების შემთხვევაში – 220 ლარი.

40 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 72–ე მუხლი

XII. დასკვნა

წარმოდგენილმა ანალიზმა, ძირითადი მიღწევებისა და გამოწვევების შეფასებით, შესაძლებელი გახადა მართლმსაჯულების სისტემის შიგნით არსებული სურათის წარმოჩენა.

ამასთან, გამოკვეთა ის შემაფერხებელი ფაქტორები, რაც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გაძლიერების პროცესში უარყოფით როლს შეიძლება თამაშობდნენ. მათ შორის, ძირეულ პრობლემად ანგარიშში განხილულია მოსამართლეთა კორპუსის არასათანდო ჩართულობა პროცესებში, რაც ხელს უშლის სისტემის შიგნით დაბალანსებული მმართველობის შექმნას. კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს კომპეტენციების გამიჯვნას უწყებებს შორის. ადმინისტრირების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად დაუბალანსებელია, რაც ძალაუფლების ერთი უწყების ხელში კონცენტრაციას განაპირობებს. საკითხის სიმწვავეს ზრდის ის ფაქტორიც, რომ თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოც ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლობას სათანადო ხარისხით.

სისტემის შიგნით დამკვიდრებული გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად არის უფლებამოსილი დაასახელოს არაერთი უწყების წევრთა კანდიდატურები, ვერ ქმნის ამ უწყებებში მოსამართლეთა რეალური წარმომადგენლობის გარანტიებს. ამასთან, ცალკეულ პირს არაგონივრულად დიდ უფლებამოსილებას ანიჭებს, მნიშვნელოვნად განაპირობოს სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესები.

სასამართლოს სისტემის გაძლიერების პროცესი მოითხოვს, რომ,უპირველესად, თვით სისტემის შიგნით შეიქმნას პირობები ჯანსაღი პროცესების წარმართვისათვის, მოსამართლეთა რეალური თვითმმართველობისა და წარმომადგენლობის ხარისხის განმტკიცებისათვის. ეს კი შეუძლებელია, ერთი მხრივ, კომპეტენციების გამიჯვნის, მეორე მხრივ კი, გადაწყვეტილების მიმღები უწყებების დაკომპლექტების პროცესში მოსამართლეთა კორპუსის მონაწილეობის გაზრდის გარეშე.

ანგარიშში განხილული თემები ასევე მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, რჩება რიგი საკითხები, რაც სათანადო რეაგირებას მოითხოვს. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის საკითხი. დამატებით ცვლილებებს მოითხოვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი, მოსამართლეთა დანიშვნისა და პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული პროცესები.

თითოეული ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლო სისტემის ინსტიტუციონალურ გაძლიერებასთან ისევე, როგორც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების პროცესთან. წარმოდგენილი ანგარიში მიმართულია სწორედ ამ პროცესების მხარდაჭერისკენ და მიზნად ისახავს დასაბუთებული მოსაზრებების წარმოდგენას იმ საკითხებზე, რაც სასამართლო ხელისუფლებაში დაფიქსირებული მიღწევევის მიუხედავად, კვლავ პრობლემურად რჩება.

შემაჯამებელი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები თვითმმართველობის გაძლიერებასთან დაკავშირებით:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრების არჩევა გახდეს მოსამართლეთა კონფერენციის ექსკლუზიური კომპეტენცია. ამ მიზნით, შეიზღუდოს ადმინისტრაციული კომიტეტის უფლებამოსილებები ამ ნაწილში;

- შეიცვალოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევისას უზრუნველყოფილი იქნეს ხმის მიცემის ფარულობა და უბრალო უმრავლესობის ნაცვლად, განისაზღვროს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების კანდიდატურების დასახელების უფლება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, მიეცეს მოსამართლეთა კონფერენციის ყველა მონაწილეს;

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კომპეტენციას გამოეყოს მოსამართლეთა შეფასებისა და დაწინაურების საკითხი. ამ მიზნით, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მოსამართლეთა პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- შეიზღუდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის ნაწილში. აღნიშნულის უფლება მიენიჭოს კონკრეტული სასამართლოების მოსამართლეებს;

- პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა გავრცელდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტის კვოტით დანიშნულ პირებზეც. ამ მიზნით, პარლამენტს შეეზღუდოს კანდიდატურების პარლამენტის წევრებიდან შერჩევის უფლება;

- პრეზიდენტს შეეზღუდოს უფლება მის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დანიშნული ორი წევრი გამოიწვიოს ვადაზე ადრე;

- შეიცვალოს სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი. მოსამართლეთა კონ-ფერენციის მიერ შეიქმნას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელშიც შევლენ მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლეები, რომლებიც ამავდროულად არ იქნებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები;

- სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტებისას კანდიდატურების დასახელების უფლება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, მიენიჭოს მოსამართლეთა კონფერენციის ყველა მონაწილეს;

- მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობის საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დარჩეს მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიის კომპეტენციაში;

რეკომენდაციები მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით:

- კანონმა გაითვალისწინოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, გამოაცხადოს კონკურსი და შესაძლებლობა მისცეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებულ პირებს მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კონკურსში;

- განისაზღვროს საბჭოს ვალდებულება კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, კანდიდატებთან ჩაატაროს ინტერვიუ;

- განისაზღვროს საბჭოს ვალდებულება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელების შერჩევისა და შემდგომში, მათი კანდიდატურების მოსამართლის ვაკანტურ პოზიციაზე განხილვის პროცესში კანდიდატებთან ჩაატაროს ინტერვიუ;

- კანონმდებლობამ გაითვალისწინოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმი;

რეკომენდაციები მივლინებასთან დაკავშირებით:

- უზრუნველყოფილი იქნეს, მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა;

- დაზუსტდეს რამდენჯერ შეიძლება მოხდეს მივლინების მექანიზმის გამოიყენება ერთი მოსამართლის მიმართ თუნდაც სხვადასხვა სასამართლოში;

რეკომენდაციები მოსამართლის უკონკურსოდ დანიშვნასთან დაკავშირებით:

- უზრუნველყოფილი იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა;

- საბჭოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილება გამოყენებული იქნეს ერთიდაიმავე ინსტანციის სასამართლოებში;

- მხედველობაში იქნეს მიღებული თუნდაც ერთიდაიმავე ინსტანციის სხვადასხვა სასამართლოში არსებული განსხვავებული საკონკურსო მოთხოვნები.

რეკომენდაციები დაწინაურებასთან დაკავშირებით:

- განისაზღვროს მოსამართლის დაწინაურების წესი და კრიტერიუმები;

- საბჭოს მიერ შემუშავებულ მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესსა და დაწინაურების პროცესს შორის გაჩნდეს ლოგიკური კავშირი;

- დაწინაურების წინაპირობად განისაზღვროს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში.

რეკომენდაციები გამჭვირვალობასთან დაკავშირებით:

- შეიცვალოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე–13 მუხლი ღიაობის სტანდარტის სასარგებლოდ და დადგინდეს, რომ დაშვებულია სასამართლო სხდომის ფოტო, ვიდეოგადაღება, რაც პროცედურულად უნდა მოწესრიგდეს საბჭოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

- დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სხდომის ჩაწერა. ტექნიკურად აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კი დაინტერესებულ პირს მიეცეს სხდომის ჩაწერის შესაძლებლობა;

- აუდიოჩაწერის შესაძლებლობა მიეცეს ყველა დაინტერესებულ პირს, სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე;

- შეიქმნას ერთიანი სტანდარტი სასამართლო სისტემაში არსებული ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით, სამართალწარმოების ტიპების თავისებურებების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები ანაზღაურებასთან დაკავშირებით:

- გაუქმდეს მოსამართლეებისთვის დანამატების გაცემის შესაძლებლობა;

- დანამატების გაუქმების გათვალისწინებით, გაიზარდოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობა.